ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის მოდული „ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკური დიპლომატია“

# მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა

თეიმურაზ ბაბუციძე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი რევაზ გველესიანი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი

თბილისი
2019

# შინაარსი

ანოტაცია....3

Preface....4

შესავალი....5

თავი 1. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია....8

1.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის ფორმირების ობიექტური წანამძღვრები. ....8

1.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და სტრატეგიული ფუნქციები....12

1.3. მცირე და საშუალო მეწარმოება - ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა....17

თავი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები ბალტიის ქვეყნებში ევროკავშირში ინტეგრაციამდე. ....22

2.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ესტონეთში. ....22

2.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი ლიეტუვას ეკონომიკურ განვითარებაში. 30

2.3. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შედეგები ლატვიაში. ....38

თავი 3. მცირე და საშუალო მეწარმეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები საქართველოში. ....45

3.1. მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების შედეგები და პრობლემები...45

3.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები და გამოწვევები. 54

3.3. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. ....63

დასკვნა....79

გამოყენებული ლიტერატურა....85

# ანოტაცია

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგომ უკვე მრავალი წელია, რაც, პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის ფაზაშია და დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა - ანუ სახელმწიფო პოლიტიკა, რომელმაც სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევითა და ბაზრის დამოუკიდებლობით ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით. ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო მეწარმეობის სარგებლიანობა ინდივიდებისა და საზოგადოებისათვის და ეს ყოველივე გაჯერებულია შესაბამისი თეორიული წანამძღვრებით, მოსაზრებებითა და პირობებით, რომლებიც გამოიყენებოდა მეწარმეობის სტიმულირებისა და განვითარებისათვის. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მოხდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. კერძოდ, ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო მიმართულებით, მოხდა სამეწარმეო საქმისადმი სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის ჩარჩოების ლიბერალიზაცია. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველო არ გამოირჩევა ეკონომიკის ბუმით ისე, როგორც სხვა მოწინავე პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები. ამის პარალელურად, მნიშვნელოვანია ჩამოვაყალიბოთ  სხვაობა ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის. ეს ორი ფენომენი არის ის ფუნდამენტი, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკა მუდმივი წინსვლის პირობებში. ნაშრომში ასევე მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ის თეორიული წანამძღვრები, რომლებიც გამოიყენებოდა მეწარმეობის სტიმულირების მიზნით, ხოლო საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციაზე პარალელია გავლებული ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, მათ ზრდასთან და განვითარებასთან.

# Preface

It has been many years since Georgia has been in post Soviet Transformation phase and faces big challenges after obtaining independence. Creating a favorable environment for small and medium sized business is crucial for the country. The following work represents a supportive economic policy for small and medium sized businesses – the government policy which should provide the development of small and medium sized entrepreneurship using targeted intervention and market independence in a given set of economic conditions. The work also discusses the advantages of small and medium size entrepreneurship for individuals as well as the society and the arguments are supported with the corresponding theoretical principles, views and circumstances that were used to stimulate and develop the entrepreneurship. During the last couple of decades, significant economic policy has been carried out. In particular, the changes were made in the tax approach, the borders of government bureaucratic body have been liberalized in terems of entrepreneurial activities. Despite that, Georgia is not yet standing out due to its level of economic boom, unlike other leading post Soviet countries. At the same time, it is important to distinguish between economic growth and economic development. These two phenomena represent the fundament that should hold an economy during continuous prosperity. The work also highlights those theoretical ground rules that was used for stimulating entrepreneurship and as for the Georgian experience, the work demonstrates the examples of Baltic countries in parallel with the Georgian practice.

# შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილება ნათლად ამტკიცებს ნებისმიერ ეკონომიკაში მაღალგანვითარებული და ეფექტიანი მცირე და საშუალო მეწარმეობის არსებობის აუცილებლობას. ეკონომიკის ეს სექტორი წარმოადგენს იმ მძლავრ რგოლს, რომელსაც შემდგომში მნიშვნელოვნად ეფუძნება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარება. საქართველოში ეკონომიკური რეფორმების უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება. სწორედ ამ სექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული საბაზრო კონკურენცია, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების ხარისხი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა სიკეთეები. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ მცირე ბიზნესი ავლენს მოქნილობას, სიცოცხლისუნარიანობას, რადგან ხასიათება ბაზრის მოთხოვნებისადმი სწრაფი ადაპტირების უნარით, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხით, რესურსების მობბილიზაციის მეტი შესაძლებლობებით. ის წარმოდგენს საგადასახადო შემოსულობათა მნიშვნელოვან წყაროს და ასევე განსაკუთრებული როლი აკისრია ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. მცირე და საშუალო მეწარმეობა ეკონომიკის უმნიშნველოვანესი პოსტულატია, რომლის გარეშეც ეროვნული ეკონომიკის ჯანსაღი და ეფექტურად ფუნქციონირება შეუძლებელია. მცირე და საშუალო მეწარმეობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ტემპს, ეკონომიკის სტაბილურობას, ეკონომიკურ უსაფრთხოებას, მის მოქნილობასა და სხვადასხვა შოკებისადმი მდგრადობას. მსოფლიო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკების განვითარებისა და მდგრადობის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ რომ მცირე და საშუალო მეწარმეობა და მათი განვითარებისა და წახალისების ხელშემწყობი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკაა. უკვე მრავალი წელია, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგომ, საქართველოს ეროვნული ეკონომიკა პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის ფაზაში იმყოფება და დიდი გამოწვევების წინაშე დგას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი

ათწლეულების მანძილზე მოხდა „პოპულარული“ და „ეფექტური“ ეკონომიკური პოლიტიკების გატარება, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საგადასახადო მიმართულებით და ზოგადად მოხდა სამეწარმეო საქმისადმი სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის ჩარჩოების ლიბერალიზაცია, ქვეყანაში შეიმჩნევა გარკვეული დისპროპორციები და გატარებულ რეფორმებსა და ეკონომიკურ პოლიტიკას მოსალოდნელი „ბუმ“ ეფექტი მაინც არ აქვს, იმ დროს როდესაც სხვა ქვეყნებში აღნიშნულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგები მოიტანა რიგ პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის ქვეყნებში და არა მარტო. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომელმაც სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევითა და ბაზრის დამოუკიდებლობით უნდა მოახდინოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება შესაბამისი ჩარჩო პირობებითა და ეროვნული ეკონომიკის ინტერესებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად ვაჩვენებთ თუ რატომ და რა ფორმითაა მცირე და საშუალო მეწარმეობა სასარგებლო ინდივიდებისა და საზოგადოებისათვის. ამისათვის საჭიროა ჩამოვაყალიბოთ ის თეორიული წანამძღვრები, მოსაზრებები და პირობები, რომლებიც გამოიყენებოდა მეწარმეობის სტიმულირებისა და განვითარების მიზნით. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს სამეწარმეო პოლიტიკა პტრაქტიკაში უფრო მეტად ორიენტირებული იყო და არის მეტად ეკონომიკურ ზრდაზე, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის მოკლევადიანი მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული, ვიდრე მცირე და საშუალო მეწარმეობაზე, რაც ბაზრისა და სექტორების რევოლუციურ გარდაქმნასა და ტრანსფორმაციას გულისხმობს და მეტწილად საშუალო და ხანგრძლივვადიან პერიოდზეა გათვლილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ქვეყნის მთავრობა ძირითადად ყურადღებას ამახვილებს მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნასა და სიმყარის განმაპირობებელ ღონისძიებებზე, ვიდრე სიახლეებსა და ცოდნაზე რომელიც მეწარმეობის ფუნდამენტალურ საყრდენს წარმოადგენს. იმისათვის რომ მკაფიოდ დავინახოთ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის არსი, მნიშვნელოვანია კარგად გვესმოდეს სხვაობა ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორების კლასიკური გაგებით განეკუთვება მიწა, შრომა და კაპიტალი, მოგვიანებით სამ ფაქტორს დაემტა სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ეკონომიკის რაოდენობრივს ზრდას როგორც მაგალითად წარმოების ფაქტორების რაოდენობრივ ზრდას, ინვესტიციების მოცულობის ზრდას, მოხმარებული ნედლეულის ზრდას და სხვა. ხოლო ეკონომიკური განვითარება არის ეკონომიკური ხარისხობრივი ტრანსფორმაცია და მრავალგანზომილებიანობით ხასიათდება. ის მეტად რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია, რომელიც არ მიმდინარეობს სწორხაზოვნად და ახასიათებს რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები. ეკონომიკური განვითარება შეიძლება შევაფასოთ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე ზრდით, მოსახლოების ცხოვრების დონითა და ხარისხის შეცვლით, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შეცვლითა და განვითარებით.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** კვლევის შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სფეროს განვითარების ახალი კონცეფციის შემუშავებისას სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ამ სექტორის მხარდაჭერის საქმეში. კვლევის შედეგები საინტერსოა ასევე მეწარმეებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაში და სტუდენტებისთის.

# თავი 1. მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია

## 1.1.მცირე და საშუალო მეწარმეობის ფორმირების ობიექტური წანამძღვრები.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მეწარმეობის განვითარებაა, რომელიც თავისთავად ეკონომიკის სტაბილური ზრდის საფუძველია. იგი უზრუნველყოფს ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნას, შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებას, სტაბილური განვითარების გარანტის "საშუალო ფენის" წარმოქმნას. დღეისათვის, უმუშევრობა და სიღარიბე ქვეყანაში ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემებად რჩება. სამეწარმეო გარემოსა და პირობების შექმნას, მეწარმეთა ინტერესების დაცვას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად გულისხმობს სწორი სამეწარმეო პოლიტიკისა და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარებას.[1] სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას, და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის

---

[1] [1] გ. ერქომაიშვილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, თბ. 2013

მთლიანი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და, საშუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში ზოგადად საკმაოდ დაბალია - ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები.[2] მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას და გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით. საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდე. მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ ლარს.[3]

მეწარმეობაზე ყურადღების გამახვილება გამოწვეულია მცირე და საშუალო მეწარმეობის მნიშვნელობით ეროვნულ ეკონომიკის ზრდასა და სამუშაო ძალის დასაქმებაში. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს ზრდა მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში, მეწარმეებს სჭირდებათ მართონ ბიზნესი და გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები.[4] ეკონომიკურ მეცნიერებაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განსაზღვრება უპირატესად სხვადასხვა

---

[2] ევროკომისია 2010: დიალოგი „მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკაზე" აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში (Dialogue on «SME Policy» with regard to the multilateral framework of the Eastern Partnership).

[3] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

[4] ჯ. ჰასიდი, ა. კომსელისი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნცვალაძე, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, თბ. 2009, ნაწილი I-II, გვ. 10.

თვისებრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების მიხედვით ხდება. თვისებრივი კრიტერიუმებს მიეკუთვნება ეკონომიკური და სამართლებრივი დამოუკიდებლობა, მართვისა და საკუთრების ერთიანობა, კაპიტალის მიღების შეზღუდული შესაძლებლობები. ხოლო რაოდენობრივი კრიტერიუმები კი ფულად ნაკადის სიდიდეს, საბალანსო ჯამსა და თანამშრომელთან რაოდენობას მოიცავს. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ მცირე მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება და ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, რასაც განაპირობებს ინოვაციური პროცესი, პროდუქტის ახალი სახეების შექმნა, რომელიც ხშირად მცირე საწარმოებში ხორციელდება. სამეწარმეო გარემოსა და პირობების შექმნას, მცირე მეწარმეთა ინტერესების დაცვას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ორგანიზაციულ და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად გულისხმობს სწორი სამეწარმეო პოლიტიკისა და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებათა გატარებას. მცირე მეწარმეობის განვითარების სახელმწიფოებრივ მხარდაჭერაში იგულისხმება: საგადასახადო შეღავათები, დოტაციები, შეღავათიანი საბანკო კრედიტები, მცირე მეწარმეობის განვითარების პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია, ასევე კანონმდებლობის მიღება და მისი დაცვა. მცირე მეწარმეობის განვითარების პოლიტიკა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მიზანს: რისკების შემცირება; საგადასახადო შეღავათები; ახალი ფირმების ფინანსური დახმარება; სამეწარმეო პოტენციალის ზრდა; კონკურენცია; ექსპორტის მხარდაჭერა და სხვა.[5] მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე პოლიტიკის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია ეკონომიკის

[5] რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბილისი 2008, გვ.

ზრდისთვის. ბოლო წლებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებულ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ. ხშირად ბიზნესი და მეწარმეობა გამოიყენება, როგორც სინონიმები, თუმცა ისინი იდენტური მცნებები არაა. მეწარმეობა ინოვაციური და შემოქმედებითი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია ახალი საქონლისა და მომსახურების წარმოების ან უკვე არსებულის არსებითი გაუმჯობესება  და რეალიზაციისკენ, ბიზნესი კი უფრო ფართო მცნებაა და ყოველგვარ საქმიანობას მოიცავს.[6] მარტივი განსაზღვრებით ბიზნესი არის საქონლისა და მომსახურების წარმოება (განაწილება, გაცვლა, მოხმარება) მოგების მიღების მიზნით. *ბიზნესის კვლევის საგანია საქმიანობის მონაწილეების შორის, მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ურთიერთობები.[7] ბიზნესის მიზანია დაინტერესებულ პირებს დაეხმაროს ბიზნესის კეთების ტექნოლოგიის ანუ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დაუფლებაში.* მისი ძირითადი ამოცანებია:

- ბიზნესის არსსა და ისტორიაში გარკვევა;
- შიდა და გარე ცვალებად ბიზნეს გარემოს ანალიზი;
- ბიზნესის საფუძვლების, როგორც სასწავლო დისციპლინის ადგილისა და როლის განსაზღვრა ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაში;
- ბიზნესის წარმატებით წარმართვისათვის შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ბიზნეს-იდეის ფორმულირება. მისი განვითარება კონცეფციაში და რეალიზების ბიზნეს-გეგმის შემუშავება;
- ბიზნესის ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის გამომუშავება;
- შეძენილი ცოდნა-გამოცდილებისა და გუნდური პრინციპებით მუშაობის უნარის გამომუშავება.

---

[6] სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბილისი 2002. გვ 197.

[7] სამადაშვილი უ. „ბიზნესის საფუძვლების საგნისა და მეთოდის საკითხისთვის“; ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“. 2007 #6

მეწარმეობის დამახასიათებელი ნიშნებია:[8]

- საქმიანობა უნდა იყოს მართლზომიერი და არ ეწინააღმდეგებოდეს ქვეყანაში მოქმედ სამართლის ნორმებს;
- მეწარმეობა უნდა ატარებდეს არაერთჯერად, სისტემურ ხასიათს;
- მეწარმეობა ხორციელდება მოგების მიღების მიზნით;
- სამეწარმეო ბიზნესი უდნა იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი. მეწარმე თავად უნდა ღებულობდეს გადაწყვეტილებას რა, როგორ და ვისთვის აწარმოოს;
- სამეწარმეო საქმიანობა უნდა განხორციელდეს ორგანიზებულად.

## 1.2.მცირე და საშუალო მეწარმეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები და სტრატეგიული ფუნქციები.

მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე პოლიტიკის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდისთვის. ბოლო წლებში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებულ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ. მსოფლიოში არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, უცხოელი ინვესტორების ყურადღებას, უმთავრესად მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა იპყრობს. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის სტაბილურობას, ღია და კონკურენტუნარიანი ბაზრების ჩამოყალიბებას. საერთო ეკონომიკური რეფორმების ფონზე

[8] სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბ. 2002. გვ 197

პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყანაში ინვესტიციების ხელშეწყობა და ამისათვის საჭირო ხელსაყრელი გარემოს შექმნა.[9]

მოდით პირველ რიგში, დავიწყოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფუნქციის განხილვით, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეობის ერთ-ერთ სტრატეგიულ ფუნქციას წარმოადგენს. ძალაუფლების დეცენტრალიზაცია და პიროვნული თავისუფლების „სივრცეების“ აღქმა, განსაკუთრებული ზომით, დამოუკიდებელ მეწარმეს მიეწერება. ეს ყოველივე გამომდინარეობს იქიდან, რომ ის არა მხოლოდ პიროვნულად, არამედ აგრეთვე ეკონომიკურად სხვათა პასუხისმგებლობის სფეროდან თავს აღწევს, ძალაუფლების რაღაც ნაწილს იღებს და საკუთარი განვითარების შესაძლებლობებს ქმნის. ეკონომიკურ ცხოვრებაში თავისუფლების ასპარეზი ხელშეკრულების თავისუფლებით იქმნებოდა, რაც თავის მხრივ მეწარმეობის დამოუკიდებლობაში ვლინდება. მნიშვნელოვანია რომ რაც შეიძლება ბევრმა მოქალაქემ აღიქვას ეკონომიკური მოქმედების თავისუფლება და ამგვარად, თავისი წვლილი შეიტანოს ძალაუფლების დეცენტრალიზაციაში. ეკონომიკური და საზოგადოებრივი სისტემა ასეთი ადამიანების მიერ უნდა იქმნებოდეს, მაგრამ არაა გამორიცხული რომელიმე ქვეყანაში ან რეგიონში ეკონომიკური აქტიურობის იმპორტირება გარე წყაროებიდან, როცა მოსახლეობა თავისი ქვეყნისა ან რეგიონის ეკონომიკურ განვითარებას თვითონ უნდა გაუძღვეს და მასზე აქტიური ზემოქმედება მოახდინოს. ბაზრის ყოველი სუბიექტის თავისუფლება, თვითონ გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მეწარმეობა, დიდად არის დამოკიდებული კონკურენციის მოქმედების უნარიანობაზე, რადგან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ხშირდ დეგრადაციის ტენდენციებს ავლენს, ამიტომ მეწარმე სისტემის პოლიტიკურ ჩარჩოს უნდა დაეყრდნოს, ეს ყოველივე კი მეწარმეობის კონკურენციულ-პოლიტიკური ფუნქციის არეალში ხვდება. დეგრადაციის ტენდენციების საპირისპირო რეკომენდაციები მოიცავს ღონისძიებებს დაწყებული ყოველგვარი ძალაუფლების კონცენტრაციის დაშლით და დამთავრებული ოლიგოპოლიით

[9] გ. ერქომაიშვილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, თბ. 2013

როგორც ბაზრის „იდეალური“ ფორმით. მაგალითისათვის, გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა მიისწრაფის ყოველ ბაზარზე ჰყავდეს მცირე და საშუალო მეწარმეთა საკმარისი რაოდენობა. ასევე კარტელის კანონის ფარგლებში იგი ეწინააღმდეგება მონოპოლიზებასა და უფრო დიდ ძალაუფლებათა კონცენტრაციას. მცირე და საშუალო საწარმოებთან მიმართებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის სტრუქტურა, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ ამ საწარმოების სიდიდეთა სტრუქტურით განისაზღვრება. გერმანიის ეკონომიკურ სისტემაში მცირე და საშუალო საწარმოებს გააჩნია ფუნქცია, რომ მიმწოდებლებისა და მომხმარებლების განსაზღვრული რაოდენობით წინ აღუდგნენ ბაზრის დაპყრობას და მის ბოროტად გამოყენებას. ამასთან, მცირე და საშუალო საწარმოები რაც შეიძლება  დიდი რაოდენობისაკენ მიისწრაფვის, სულ უფრო მეტად ზრუნავს ბაზარზე, მცირე და საშუალო საწარმოების გაწონასწორებულ დამოკიდებულებაზე. აღნიშნული მოთხოვნა ასევე ისახება საწარმოთა სიდიდეებზე დამყარებულ სტრუქტურულ პოლიტიკაშიც. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში ცხოვრების პირობების ერთიანობა აქტიური სტრუქტურული პოლიტიკით მიიღწევა რაც მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრუქტურულ-პოლიტიკური ფუნქციის შემადგენელია. აქვე განასხვავებენ:

1) სექტორულ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ცალკეულ დარგებში ცვალებადი მოთხოვნებისა და წარმოების პირობების შესაბამისობაში მოყვანა;

2) რეგიონალურ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც ეკონომიკური საქმიანობის გაწონასწორებული განაწილების ფარგლებში უდნა იმოქმედოს;

საწარმოთა სიდიდეებზე დამყარებულ სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელმაც საწარმოების განსაზღვრული სიდიდეების სტიმულირებით უნდა დააჩქაროს ადაპტაცია ცვალებად საბაზრო პირობებთან. საშუალო და მცირე საწარმოები ჯანსაღი შერწყმით მცირე და საშუალო საწარმოებმა შესაძლებელი უნდა გახადოს საწარმოების სიდიდეთა სტრუქტურის სწრაფი შესაბამისობა ბაზრის ცვლილებებთან. ამასთან, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა ეს ცვლილებები მომხმარებლის მხრიდან მომდინარეობს თუ მიმწოდებლის

მხრიდან. მაგალითად მომსახურების უფრო გაძლიერებული დატვირთვით თუ ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. ადაპტაციის უნარიანობა შეიძლება შეეხებოდეს როგორც ცალკეულ საწარმოს, ასევე ბაზრის სტრუქტურას. შესაბამისობის აღნიშული პროცესები მიმდინარეობს არა მხოლო მთელი ეკონომიკის მასშტაბით არამედ, უწინარეს ყოვლისა ცალკეული დარგების შიგნით. მაგალითისათვის გერმანის ძლიერი სტრუქტურული ცვლილებები შეიმჩნეოდა საცალო ვაჭრობასა და ბეჭდვით საქმეში. ეს ცვლილებები იზომებოდა მცირე და საშუალო საწარმოების წმინდა რაოდენობრივი განვითარების ან მათი დასაქმების ამსახველი ციფრობრივი მონაცემების მიხედვით. შესაბამის უნარიანობის ინდიკატორად შეიძლება აღებულ იქნეს აგრეთვე საწარმოების ინოვაციის უნარიანობა, რადგან უკანასკნელი გვიჩვენებს თუ რა მასშტაბით შეეწყობა საწარმოები ბაზრის ცვლილებებს. დასაქმების საერთო ეკონომიკური სიტუაციისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების მხრივ, პირველ რიგში მხედველობაში მიიღება მათი მასტაბილიზირებელი ზემოქმედება. დიდ საწარმოებთან შედარებით მცირე და საშუალო საწარმოების დასაქმების განსხვავებული პოლიტიკის ახსნის ცდები თითქმის ისეთივე მრავალრიცხოვანია, როგორც მათი ცნებისა. დისკუსია ეხება, უწინარეს ყოვლისა, მოქნილობისა და ტექნოლოგიის ჰიპოთეზას. პირველის თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოები უფრო მოქნილი ორგანიზაციის საფუძველზე დროულად რეაგირებს მოთხოვნის ცვლილებებზე და ბაზრის ნიშნებს მომხმარებლებთან დიდი სიახლოვის გამო შედარებით სწრაფად გრძნობს. ტექნოლოგიის ჰიპოთეზა იქედან გამომდინარეობს, რომ მოთხოვნის სტრუქტურები ინდივიდუალურად და ხარისხობრივად დიფერენცირებული საქონლისა და მომსახურების სასარგებლოდ იცვლება და ამით ხდება მასობრივ წარმოებაზე უარის თქმა. ასეთმა „მოძრაობამ“ წარმოება კვლავ მცირე მეწარმეობის პირობებს უნდა მიუახლოვოს. ამ პრობლემატიკის უფრო ახლოს გაცნობის გარეშე შეუძლებელია, საერთოდ დასაქმებისათვის მცირე და საშუალო საწარმოების პოზიტიური როლის შეფასება, შრომის ბაზარზე ასეთ საშუალო საწარმოების პოზიტიური როლის შეფასება. შრომის ბაზარზე ასეთ საწარმოებს მასტაბილიზირებელი ეფექტი აქვს და კრიზისების დროს უფრო მეტ სამუშაო ადგილებს ქმნის, ვიდრე დიდი საწარმოები. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ

გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოები შრომისუნარიანი მოსახლეობის ორ მესამედს ასაქმებს. აღმოსავლეთ გერმანიაში მცირე და საშუალო საწარმოები ახალი სამუშაო ადგილების შექმნით გადაიქცა ყოფილი სახელმწიფო საწარმოებიდან გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის მიმღებ რეზერვუარად. აქ განხილული პრიორიტეტებიდან გამომდინარე შეიძლება კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ თუ რა განასხვავებს მცირე და საშუალო საწარმოებს დიდი საწარმოებისაგან და რისი გათვალისწინება შეიძლება მათი გამოცდილებიდან. წარმატება იწყება ნათელი და ამბიციური მიზნით იყო საუკეთესო. ამისათვის კი აუცილებელია გრძელვადიანი ორიენტირება, კვალიფიციური თანამშრომლები და რკინის ნებისყოფა. ბაზრები ვიწროდ უნდა განისაზღვროს, სამეწარმეო საქმიანობა კონცენტრირებული უნდა იყოს ერთი სიმძიმის ცენტრში, რადგან სპეციალისტები ხშირად უფრო წარმატებულები არიან და ამარცხებენ ზოგადად მცოდნეებს. საუკეთესო მომსახურება მომხმარებლებთან სიახლოვის მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს არის მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი. მომხმარებელი ხომ ყველგან საჭიროებს სერვისს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს. ხშირად საწარმოები ახალ საქონელს ქმნიან და ცდილობენ ეს წინსვლა ინოვაციებით შეინარჩუნონ. ამისათვის სიახლეები ყოველთვის არა მხოლოდ ნაწარმს უნდა შეეხოს, არამედ მომხმარებელთა სფეროსაც, რადგან აქ ინოვაციები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ბაზრის შედარებით მცირე წამყვანი საწარმოების კონკურენციის უპირატესობანი უფრო ხარისხობრივ გაუმჯობესებას ემყარება ვიდრე ფასის მიხედვით უპირატესობებს. მიუხედავად ამისა, ფირმები მუდმივ კონკურენციულ ბრძოლაში არიან ჩართულნი, თავიანთი წამყვანი პოზიციის დასაცავად. მცირე და საშუალო საწარმოები დიდ ყურადღებას უთმობენ აგრეთვე მეწარმეობის კულტურის მოთხოვნების გათვალისწინებას, არადა ამ უკანასკნელს ხშირად სათანადოდ ვერ აფასებენ. ის წინა პლანზე წამოწევს და ეყრდნობა ხანგრძლივი წარმატებების მომტან ფასეულობებს. ეკონომიკურ მეცნიერებაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განსაზღვრა უპირატესად სხვადასხვა თვისებრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების მიხედვით ხდება.

თვისებრივი კრიტერიუმებს მიეკუთვნება:

- სამართლებრივი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა;
- მართვისა და საკუთრების ერთიანობა;
- ექსტერნული კაპიტალის მიღების შეზღუდული შესაძლებლობები;

რაოდენობრივ კრიტერიუმებად მიჩნეულია:

- ფულის ნაკადის სიდიდეა;
- საბალანსო ჯამი;
- თანამშრომელთა რაოდენობა.

რაოდენობრივი კრიტერიუმების ფუნქცია საწარმოს სიდიდის განსაზღვრაა. ამ მიზნით ყველაზე ხშირად გამოიყენება დასაქმებულთა რიცხვი და ფულის ნაკადს ოდენობა. მცირე და საშუალო მეწარმეობის არსი, როგორც უკვე აღინიშნა, განისაზღვრება არა მხოლოდ საწარმოს სიდიდით, არამედ იგი გულისხმობს მეწარმეობის თავისუფლებას, მის დამოუკიდებლობას.

## 1.3. მცირე და საშუალო მეწარმოება - ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა

მცირე და საშუალო მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტად, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია ეფექტურად განავითარება. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპს, GDP-ის სტრუქტურასა და ეკონომიკის მოქნილობის უნარს. მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით, რაც უფრო უკეთესი პირობები და სამეწარმეო გარემოა შექმნილი სახელმწიფოში მაშტაბურებისათვის და განვითარებისათვის მით უფრო მაღალი ტემპით ვითარდება ქვეყნის ეკონომიკა. როგორც მცირე მეწარმეობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებსა და სტრატეგიულ ფუნქციებში

აღვნიშნეთ მცირე და საშუალო მეწარმეობის ერთერთ ძირითადს დასაქმებით-პოლიტიკური ფუნქცია წარმოადგენს და მაგალითისთვის მცირე ბიზნესში დასაქმებულია მსოფლიოს მოსახლეობის 50%, ევროკავშირის ქვეყნების 72%. აღნიშნულ სფეროში იქმნება მსოფლიო GDP-ის 50% ევროკავშირში 65% [10]. სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში.

მეწარმეობის გავლენის უმთავრესი შედეგი ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ ეკონომიკაზე არის ეკონომიკური ზრდა, ხოლო იმისათვის, რომ გავიგოთ და მკაფიოდ დავინახოთ მეწარმეობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი უნდა გავაანალიზოთ სამეწარმეო ეკონომიკის სხვადასხვა კონცეფციები. მეწარმეობის თეორიულ გაგებაში მთავარია განსხვავების პოვნა „მენეჯერულ“ და „სამეწარმეო“ ეკონომიკას შორის. სხვა სიტყვებით ეს არის ციკლური დამოკიდებულება ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას შორის. თანამედროვე ეკონომიკურ ისტორიის მიხედვით ქვეყნები ზრდას სხვადასხვა საფეხურზე განიცდიდნენ. ამ საფეხურებიდან ყველაზე ცნობილი კი მენეჯერული ეკონომიკა და სამეწარმეო ეკონომიკაა. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ სამეწარმეო ეკონომიკა არის მენეჯერული ეკონომიკის განვითარების შედეგი.[11] ანუ

---

[1] Шишин С., Малое предприниматеоьство: сущность место и роль. М.2002ю -456с;

[11] ჯ. ჰასიდი, ა. კომსელისი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნცვალაძე, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, თბ. 2009, ნაწილი I-II, გვ.86

შეიძლება ითქვას, რომ მენეჯერული და სამეწარმეო ეკონომიკები ერთმანეთის მიმართ ციკლურობით ხასიათდება და სამეწარმეო ეკონომიკას ყოველთვის თან მოსდევს მენეჯერული ეკონომიკის განვითარება, თუმცა მენეჯერულ ეკონომიკა ყოველთვის სამეწარმეო ეკონომიკაში შეიძლება არ განვითარდეს. ამგვარად მენეჯერული ეკონომიკის საფეხური მოსამზადებელი ეტაპია სამეწარმეო ეკონომიკის შესაქმნელად. იმისთვის რომ განვსაზღვროთ მენეჯერული ეკონომიკისა საჭიროა გადავხედოთ ისტორიულ წანამძღვრებს და განვიხილოთ თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ისტორია. ბიზნესის ისტორიის პროფესორს ალფრედ ჩენდლერმა აღწერა ეკონომიკა, რომელიც ინდუსტრიულ ეპოქაში ჩამოყალიბდა წარმოებაში, განაწილებასა და მენეჯმენტში ინვესტიციების ჩადების გზით. აქედან გამომდინარე მენეჯერული ეკონომიკის მიზანი იყო მასშტაბის ეკონომიიდან და განაწილების ქსელების ოპტიმიზაციიდან მაქსიმალური უკუგების მიღება. მენეჯერული ეკონომიკის შედეგი იყო მასობრივი და დიფერენცირებული პროდუქციის მწარმოებელი კომპანიების კონკურენცია იმისათვის, რომ შექმნილიყო მონოპოლისტური კონკურენციის გარემო. მენეჯერულ ეკონომიკაში მეწარმე ცდილობს გამოეყოს მსხვილ ფირმებს და ფოკუსი დეს შედარებით მცირე აქტიურობაზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია ინოვაციურობა და მოქნილობა. სამეწარმეო ეკონომიკის განმსაზღვრელი ელემენტია ცოდნა და ამ ცოდნის თანმდევი გაურკვევლობა. სამეწარმეო ერაში ეკონომიკური გამოცდილება იზრდებოდა ცოდნისა და მცირე ორგანიზაციული სტრუქტურების მოქნილობის გამოყენებით. გაურკვევლობა არის ზრდის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც თავისთავად შეიცავს რისკებს, რაც თან ახლავს მოგების მაქსიმიზაციას რესურსებში ინვესტირების პროცესში და ეს რისკები უმეტეს შემთხვევაში ემყარება წინასწარ გათვლებს. ამის საწინააღმდეგოდ მენეჯერული ეკონომიკა ფოკუსირებას აკეთებდა მასშტაბის ეკონომიიდან გამომდინარე, მოგების გენერაციაზე დაბალო დონის ინვესტიციური რისკის პირობებში. ასე რომ, წარმოების ძირითადი ფაქტორები მენეჯერულ ეკონომიკაში არის კაპიტალი, არაკვალიფიციური შრომა და ნედლეული, ხოლო სამეწარმეო ეკონომიკაში - ცოდნა, კვალიფიციური შრომა, ტექნოლოგიები და მოქნილობა. მენეჯერული ეკონომიკიდან, სამეწარმეო ეკონომიკაზე

გადასვლის მთავარი მიზეზებია გლობალური კონკურენციის გაძლიერება, დემოგრაფიული ხასიათის მოთხოვნა, მზარდი გაურკვევლობა და სწრაფი ტექნოლოგიური განვითარება. მთელი ამ მიზეზების გასაღებია ცოდნის ტრანსფერი, რომელიც განვითარდა ციფრული ტექნოლოგიების გავლენისა და კომუნიკაციების გამარტივება-სისწრაფის საშუალებით. ამ ყოველივედან გამომდინარე შეგვიძლია  დავასკვნათ, რომ ევროპაში მენეჯერული ეკონომიკა და სამეწარმეო ეკონომიკა ცვლიდნენ ერთმანეთს და მენეჯერული ეკონომიკა დომინანტობას მხოლოდ გარკვეული პერიოდების განმავლობაში იკავებდა, ხოლო გადამავალ ეკონომიკაში კი იგი წარმოადგენდა იმ ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, რომელიც მხარს უჭერდა ეკონომიკური ზრდის სამეწარმეო საფეხურს. მეწარმეობის საშუალებით ეკონომიკური ზრდის პრობლემის მეორე მნიშვნელოვანი საკითხია სამეწარმეო საქმიანობის პროდუქტიულობის იდენტიფიკაცია. ამერიკული შეერთებული  შტატების მეცნიერთა აკადემიის წევრმა უილიამ ბოუმოელმა აღწერა სიტუაცია, სადაც მან ერთმანეთისგან განასხვავა მეწარმეობის ორი სახე. იმისათვის, რომ მივაღწიოთ ეკონომიკურ ზრდას მეწარმეობის საშუალებით საჭიროა ორი წინაპირობა.

1) სამეწარმეო ფირმის შემოსავალი უნდა ექვემდებარებოდეს გადასახადის გადახდას.
2) სამეწარმეო საქმიანობამ უმთავრესი რესურსები უნდა მიმართოს ბაზრისაკენ. [12]

პროდუქტიული სამეწარმეო საქმიანობა მოიცავს ინოვაციებს, ცოდნის მენეჯმენტს, ტექნოლოგიურ სრულყოფას და სერიულ წარმოებას. არაპროდუქტიული სამეწარმეო საქმიანობა მოიცავს რენტის ძიებას როდესაც სამეწარმეო საქმიანობის ქვედა ზღვარის სოციალური შედეგები ნეგატიურია, ან ორგანიზებულ დანაშაულს. მას აგრეთვე შეიძლება დაემატოს გადასახადებისაგან თავის არიდება ან არარეგისტრირებული საქმიანობა, როგორც არაპროდუქტიული სამეწარმეო საქმიანობის შედეგი და ზოგადად მთლიანად ფარული (ჩრდილოვანი) ეკონომიკა. თანამედროვე პირობებში სამეწარმეო საქმიანობის

[12] ჯ. ჰასიდი, ა. კომსელისი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნცვალაძე, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, თბ. 2009, ნაწილი I-II, გვ.88

ასეთი არაპროდუქტიული ფორმები ჩანაცვლდა კონკურენტული ბრძოლის შედარებით ნაკლებად ძალადობრივი ფორმებით: სასამართლო პროცესებით, ემბარგოებით და სხვა. უილიამ ბოუმოლმა თავის ნაშრომში არაპროდუქტიული მეწარმეობის ძირითად მიზეზად პოლიტიკას მიიჩნევდა. ამის მთავარი არგუმენტი არის ის რომ თუ რამდენად გამომდინარეობს ეკონომიკური სისტემის შინაგანი ბუნებიდან მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სამეწარმეო საქმიანობის დაყოფა პროდუქტიულად და არაპროდუქტიულად. თუკი ეკონომიკურ სისტემაში მეწარმეობა ისჯება სახელმწიფოს მხრიდან, მაშინ მეწარმე ბუნებრივია თავის საქმიანობას წარმართავს არაპროდუქტიული სამეწარმეო საქმიანობის სახით. ასე რომ იმ ექსტრემალურ შემთხვევაში, როცა სამეწარმეო საქმიანობა არალეგალურია ხდება, წარმოიშვება შავი ბაზარი, სამეწარმეო უკუგებებს გააჩნიათ მაღალი საგადასახადო განაკვეთები და გადასახადებიდან თავის არიდება ფართოდ ინერგება პრაქტიკაში. ეკონომიკური ზრდისათვის ეკონომიკას ჭირდება პროდუქტიული მეწარმეობა, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ ეკონომიკურ ზრდას და არ საჭიროებს არაპროდუქტიულ მეწარმეობას, რომელიც ფოკუსირდება ბაზრის დომინირებაში და ქონების აკუმულაციაში. ეს ყოველივე აუცილებელ შემთხვევაში უნდა იქნეს გათვალისწინებული სამეწარმეო პოლიტიკის განსაზღვრისას ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს ერთგვარი შერკინებას ინოვაციურ მეწარმეობასა და მარტივ რეგულარულ შემოსავალს შორის, რომელშიც პირველი დიდ საერთო საზოგადოებრივი სიკეთის მომტანია. რომ შევაჯამოთ მსჯელობა, მეწარმეობის განვითარების საფუძველზე სამუშაო ადგილების შემქნის, ინოვაციებისა და კონკურენციის მეშვეობით მიღებული სარგებლის ეფექტებს ემატება ეკონომიკური ზრდიდან მიღებული შემოსავლები, რომელთა გადანაწილებას და მართვას სახელმწიფო ახორციელებს. უნდა გვახსოვდეს, რომ თამაშის წესები ერთის მხრივ მოითხოვს პროდუქტიული მეწარმეობის წახალისებას და არაპროდუქტიული მეწარმეობის კონტროლს, ხოლო მეორეს მხრივ ყველა ეკონომიკა გულისხმობს წრებრუნვას და მაშასადამე, განიცდის რეცესიის პერიოდს.

# თავი 2. მცირე და საშუალო მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები ბალტიის ქვეყნებში ევროკავშირში ინტეგრაციამდე.

## 2.1. მცირე და საშუალო მეწარმეობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე ესტონეთში.

ბალტიისპირეთის ქვეყნები უნიკალურ მაგალითს წარმოადგენს აღნიშნულ საკითხში, რადგან მათ გააჩნიათ ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების და განვითარების განსაკუთრებული ისტორია. ეს ქვეყნები გამოირჩევიან უნიკალური გარემოთი, რაც მათ ხდის უფრო მიმზიდველს და საინტერესოს ამ მხრივ. როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, მოვიაზრებთ სხვადასხვა გარემო ფაქტორების და განვითარების ეტაპების შერწყმას, რასაც საბოლოო შედეგებამდე მივყავართ.

*დიაგრამა 2-1. მთლიანი შიდა პროდუქტი 1 სულ მოსახლეზე. წყარო: მსოფლიო ბანკი*




ბალტიისპირეთის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე მსგავსი დინამიკით ვითარდება 1990-იანი წლებიდან დღემდე. თუმცა, ლიტვას, ლატვიასა და

ესტონეთს განსხვავებული ისტორია აქვთ და განვითარების განსხვავებული ეტაპები გაიარეს. შესაბამისად, აღნიშნულ ქვეყნებზე ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი.

1991 წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი ესტონეთისთვის. საბჭოთა კავშირის მიერ ოკუპაციის 50 წლის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა თავისუფლება მოიპოვეს. ამ თავისუფლების მიღმა ესტონეთს რეალურად არ გააჩნდა რაიმე ღირებული საკუთარ ეკონომიკაში. წლების განმავლობაში გაბატონებული კომუნისტური წყობილების შედეგად ქვეყნის ეკონომიკა განადგურებული იყო. ქვეყნის ვალუტას - რუსულ რუბლს ღირებულება აღარ გააჩნდა. საწვავის ხარჯები გაიზარდა 10,000 პროცენტით, რომლის პარალელურადაც ინფლაციამ 1,000 პროცენტს გადააჭარბა. რეალური ხელფასები შემცირდა 45 პროცენტით და მთლიანი შიდა პროდუქტი ჩამოცდა 2,000 აშშ დოლარს ერთ სულ მოსახლეზე. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის 92% დამოკიდებული იყო რუსეთზე[13]. ქაოსმა დაისადგურა. საკვების საყიდლად რიგები საათობით გრძელდებოდა და ძირითადი საკვები პროდუქტები, როგორიცაა პური და რძე შეზღუდული რაოდენობით გაიცემოდა. ამ განადგურებული ერის მომავალი ბუნდოვანი იყო. უამრავი ექსპერტი განიხილავდა ესტონეთს, როგორც რიგით საბჭოთა ქვეყანას წინსვლის არადამაიმედებელი შესაძლებლობებით[14]. თუმცა, ეს არ აღნოჩნდა ესტონეთისთვის სიმართლე.

---

[13] Whitney Stewart, "Former Communist Estonia, Georgia Leading in Economic Success," Cybercast News Service, 10 August 2007, 12 November 2007 <http://www.cnsnews.com/ViewForeignBureaus.asp?Page=/ForeignBureaus

/archive/200708/FOR20070810f.html>.

[14] Mart Laar, "The Estonian Economic Miracle," Backgrounder, 7 August 2007, 12 November 2007 <www.heritage.org/Research/WorldwideFreedom/bg2060.cfm>

*დიაგრამა 2-2. წლიური ინფლაცია (სამომხმარებლო ფასების ინდექსი). წყარო: მსოფლიო ბანკი*




დღევანდელ ესტონეთს ძნელად თუ მიამსგავსებთ კომუნისტური პერიოდის დროს არსებულ მდგომარეობას. 2006 წელს ქვეყნის მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე მიაღწია 20,300 აშშ დოლარს[15], ყოფილ საბჭოთა ქვეყნის სივრცეში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს[16]. 2006 წელს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 11.4 პროცენტიანი შედეგით[17], ქვეყანაში დაფიქსირდა ყველაზე სწრაფი ეკონომიკური ზრდა ევროპის მასშტაბით[18]. საინტერესოა, როგორ მიაღწია ესტონეთმა 15 წლიან პერიოდში ასეთი წინსვლა. ამაზე პასუხი იმალება ეკონომიკურ თავისუფლებაში. 2007 წელს მემკვიდრეობის ფონდისა და უოლ სტრის ჟურნალის მიერ გამოქვეყნებული „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ მიხედვით ესტონეთი იყო მსოფლიოში რიგით მეთორმეტე თვისუფალი ქვეყანა.

---

[15] "Estonia," CIA World Factbook, 01 November 2007, 12 November 2007 <www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/en.html>

[16] David Storobin, "Estonian Economic Miracle: A Model for Developing Countries," Global Politician, 1 May 2004, 12 November 2007 <www.globalpolitician.com/articleshow.asp?ID=614&cid=3>

[17] CIA World Factbook

[18] Storobin

მისი საშუალო ქულა იყო ბევრად მაღალი, ვიდრე სხვა ნებისმიერი ქვეყანა მის რეგიონში[19]. იაგდიშ ბაგუატი ამ მოვლენას ასე ხსნის: „როდესაც მათავრობა იყენებს ბაზარს მეტად და ატარებს მეტ ღია პოლიტიკას საგარეო ვაჭრობასა და ინვესტიციებში, ანუ რეალურად ახორციელებს ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობას, აღნიშნული ქვეყნები ნამდვილად აღწევენ წარმატებას.“[20] ესტონეთმაც ეს შეძლო. პოლიტიკური თავისუფლების მოპოვების შემდგომ ესტონეთმა დაიწყო ეკონომიკური თავისუფლების ხელშეწყობა, დაუშვა რა ის ფაქტი, რომ ადამ სმიტისეულ „უხილავს ხელს“ მოეტანა ზრდა და განვითარება. 1990-იანი წლების გარდამავალი მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა მოიცავდა მონეტარულ რეფორმას, ინდუსტრიების პრივატიზაციას, საკითრების უფლებების დაცვას, საგადასახადო რეფორმასა და სავაჭრო ბარიერების მოხსნას. მონეტარული რეფორმა იყო პირველი ნაბიჯი ესტონური ეკონომიკის აღდგენაში. 1992 წლის ივნისში ესტონეთმა შემოიღო კრონა, რითაც გახდა პირველი ქვეყანა ყოფილ საბჭოთა სივრცეში, რომელსაც გააჩნდა საკუთარი ვალუტა. კრონა შემოვიდა სავალუტო საბჭოს სისტემის გამოყენებით. აღნიშნული სისტემის ქვეშ, კრონა მიბმული იყო გერმანულ მარკაზე[21]. შესაბამისად, ქვეყანას არ შეეძლო უბრალოდ გამოეშვა მეტი ფულის მასა უცხოური სავალუტო რეზერვების გაზრდის გარეშე[22]. მყარ და სტაბილურ ვალუტაზე კრონას მიბმით, ესტონეთმა შექმნა საკუთარი ეკონომიკის ნდობა[23]. ქვეყნის მაკროეკონომიკური ქაოსი მალე დარეგულირდა. 1995 წელს[24] ინფლაციის დონე დაეცა და 1992 წელს დაფიქსირებული 1,000 პროცენტიდან საგრძნობლად შემცირდა 29

---

[19] “Estonia,” 2007 Index of Economic Freedom, 12 November 2007, <http://www.heritage.org/research/features /index/country.cfm?id=Estonia>

[20] Niclas Berggren, “The Benefits of Economic Freedom: A Survey,” The Independent Review, Fall 2003, 12 November 2007 <http://www.independent.org/publications/tir/article.asp?issueID=5&articleID=48>

[21] Laar

[22] Robert Carbaugh, International Economics, Eleventh Edition, (Ohio: Thomson South-Western, 2007) 492

[23] Laar

[24] Laar

პროცენტამდე. დღეისათვის ქვეყანაში ფიქსირდება 4.4 პროცენტი ინფლაციის დონე[25]. ფულის ბეჭდვის შესაძლებლობის შეზღუდვის გამო ესტონეთის მთავრობა იძულებული იყო შეემცირებინა დანახარჯები. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კომპანიების სუბსიდირება აღიქმებოდა როგორც არაეფექტიანი პოლიტიკა. ამას მალე მოჰყვა კომპანიების პრივატიზაცია. ღია ეკონომიკაზე გადასვლამდე, მთავრობა ფლობდა ესტონური საწარმოების 95 პროცენტს[26]. აღნიშნული საკითხის გადახედვის მცდელობით, 1993 წელს რატიფიცირებულ იქნა პრივატიზაციის საკმაოდ ამბიციური კანონი. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ საყოველთაო ზრდაზე ორიენტირებულ მონოპოლიებს, მათ შორის Narva Elektrivorgud ენერგო ქსელს, ესტონურ Air and Estil ტელეკომუნიკაციების ქსელს, აღარ ჰქონდათ ეკონომიკაში დომინირების უფლება. ასეთი კომპანიები გახლიჩეს და მოახდინეს მათი პრივატიზაცია ახალ ინვესტორებზე, მენეჯერებსა და საჯარო ლოტებზე კომპანიის მიყიდვით. ასეთი ქმედებები აღმოფხვრიდა „საბჭოთა ინდუსტრიული დინოზავრების“ არაეფექტიან ეკონომიკურ აქტივობებს და დაამყარებდა კონკურენტულ საბაზრო ეკონომიკას. ამას მოჰყვა მრეწველობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ინდუსტრიების მოდერნიზაცია[27]. მილტონ ფრიდმანი ამბობდა, რომ საკუთრების უფლებების დაცვის გაძლიერების გარეშე ცენტრალიზებული მთავრობა ვერ გახდება კერძო საწარმო საზოგადოება. მხოლოდ პრივატიზაცია არ ქმნის საბაზრო ეკონომიკას. პრივატიზაციასთან ერთად, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კანონმდებლობას - „რას ნიშნავს პრივატიზება, თუ არ გაქვს საკუთრების დაცვა, თუ არ შეგიძლია გამოიყენო საკუთრება, როგორც თავად გსურს?“[28] 1992 წლის დასაწყისში,

---

[25] CIA World Factbook

[26] James D. Gwartney and Robert Lawson, “There’s Power in Economic Liberty,” The Cato Institute, 9 September 2005, 12 November 2007 <www.cato.org/pub_display.php?pub_id=4655>

[27] “Small but Free: Estonia’s Economic Reforms,” Adam Smith Institute, 12 November 2007 <www.adamsmith.org/

80ideas/idea/76.htm>

[28] Milton Friedman, “Economic Freedom behind the Scenes,” The Cato Institute, 12 November 2007, < http://www.

cato.org/special/friedman/friedman/friedman4.html>

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე ესტონეთმა მიიღო თავისი პირველი კანონი საკითრების რეფორმაზე. რეფორმის პირველი ნაბიჯი ნიშნავდა ჩამორთმეული ეროვნული საკუთრების დაბრუნებას პირვანდელი კანონიერი მფლობელებისთვის. სხვა დანარჩენი მიწისა და შენობა-ნაგებობების პრივატიზაცია მოხდა ვაუჩერის პროგრამით[29]. ესტონურმა კონსტიტუციამ ძალა მისცა საკუთრების უფლებას: „ყველას საკუთრების უფლება არის ხელშეუხებელი და თანაბრად დაცული. ყველას უნდა ჰქონდეს საკუთრების თავისუფლად ფლობის, გამოყენების და განკარგვის უფლება“[30]. ქვეყნის სასამართლო, რომელიც აღასრულებს საკუთრების უფლებასა და კონტრაქტებს, არის დამოუკიდებელი და არ ექცევა მთავრობის ზეგავლების ქვეშ. ჟურნალი „ეკონომიკური თავისუფლების 2007 ინდექსი“ ანიჭებს ესტონეთს 90 პროცენტს, რომლის მიხედვითაც იგი საკუთრების უფლებების დაცვის მხრივ მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე ბევრად მაღლა დგას[31]. საკუთრების უფლების რეფორმას მივყავართ უდიდეს ეფექტიანობამდე. ფრიდმანმა აღნიშნა, რომ ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, იგი უფრო მეტად უფრთხილდება საკუთარ რესურსებს, ვიდრე სხვის რესურსებს[32]. პროგრესული საგადასახადო პოლიტიკა მაღალ-შემოსავლიან ფენებს ბეგრავს მეტად, ვიდრე  დაბალ-შემოსავლიანს. ასეთი პოლიტიკის ქვეშ, ის თანხა, რომლის რეინვესტირებაც შეეძლო მდიდარ ადამიანს ეკონომიკაში, უნდა დაიხარჯოს გადასახადებში და გამოყენებულ იქნას საჯარო სექტორში ნაცვლად კერძო სექტორისა. ასეთი პოლიტიკა აფერხებს ეკონომიკურ ზრდას[33]. პროგრესული საგადასახადო პოლიტიკის ნაცვლად, ესტონეთმა შემოიღო წრფივი ინდივიდუალური საშემოსავლო

---

[29] Laar

[30] “The Constitution of Estonia,” Chapter 1, Article 32, Section 1 and 2

[31] 2007 Index of Economic Freedom

[32] Milton Friedman, “On Freedom and Free Markets,” Public Broadcasting Station, < http://www.pbs.org /wgbh/commandingheights/shared/minitextlo/int_miltonfriedman.html>

[33] Ludwig Von Mises, Economic Policy: Thoughts for Today and Tomorrow, (New York: Free Market Books, 2000). 84

გადასახადი, მხარი დაუჭირა დაბალ საგადასახადო განაკვეთბს[34]. არ არსებობს არც გარდაცვალების გადასახადი და არც მდიდრების გადასახადი. ქვეყანამ ასევე გააუქმა ორმაგი დაბეგვრა დანაზოგებზე და დივიდენდებზე[35]. უფრო მეტიც, სისტემა არ ბეგრავს მოგებას, მანამ, სანამ იგი არ გავა კომპანიიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება[36]. სისტემა გამორიცხავს დამახინჯებებს, ხვრელებს, გათავისუფლებებსა და ჯარიმებს, რაც ხშირია სხვა სისტემებში[37]. ასეთი სისტემა თვიდან ირიდებს პროდუქტიული საქმიანობის დასჯას და ხელს უწყობს დაზოგვასა და ინვესტიციებს, რაც თავის მხრივ ამაღლებს ეკონომიკურ მდგომარეობას[38]. წრფივად დარიცხული გადასახადები ეფექტური აღმოჩდა. სისტემის სიმარტივემ შეამცირა გადასახადების გადაუხდელობა და ხელი შეუწყო სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების ზრდას. ესტონელებმა გაიაზრეს რა გაზრდილი შემოსავლები სასჯელის გარეშე, დამოკიდებულებებიც შეიცვალა და მეწარმეობამ დაიწყო ზრდა. ათასობით ახალი ბიზნესი დაარსდა. 1992 წელს ესტონეტში ფუნქციონირებდა 2,000 საწარმო, ხოლო ეს რიცხვი 1994 წელს 70,000-მდე გაიზარდა[39]. ესტონეთის წრფივი განაკვეთური საშემოსავლო დაბეგვრის წარმატებულად განხორციელების შემდეგ, ბევრმა სხვა ქვეყანამ იგივე გაიმეორა. ლიეტუვა, ლატვია, რუსეთი, უკრაინა, საქართველო, სლოვაკეთი და რუმინეთი ასევე შემოიღეს წრფივი საგადასახადო განაკვეთი. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებისას, ნათელი ხდება, რომ წრფივი საგადასახადო განაკვეთის მქონე ქვეყნებმა განიცადეს ბევრად უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა, ვიდრე დანარჩენებმა. მხოლოდ

---

[34] Daniel Mitchell, "Flat Tax is the Way of the Future," The Heritage Foundation, 20 March 2006, 12 November 2007 <www.heritage.org/Press/Commentary/ed032006a.cfm?RenderforPrint=1>

[35] Daniel Mitchell, "Baltic Beacon," The Cato Institute, 20 June 2007, 12 November 2007 <www.cato.org/ pub_display.php?pub_id=8378>

[36] Signe Ratso, "Miracle of Estonia: Entrepreneurship and Competitiveness Policy in Estonia," United Nations Economic Commission for Europe, 12 November 2007 < http://www.unece.org/ie/wp8/documents/mayfor/ Signe%20Ratso.pdf>

[37] Baltic Beacon

[38] Laar

[39] Laar

1997 წელს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკამ განიცადა 8 პროცენტიანი ზრდა, როცა დანარჩენი პროგრესული დაბეგვრის მქონე ქვეყნების ზრდა 1.4 პროცენტს უტოლდებოდა. მაღალი ზრდის პარალელურად, წრფივი საგადასახადო განაკვეთის მქონე ქვეყნებში გაიზარდა შემოსავლებიც[40]. კაპიტალი მნიშვნელოვანი ფაქტორია განვითარებადი ქვეყნის წინსვლაში. გაზრდილი კაპიტალური ინვესტიციები ხელს უწყობს ინდუსტრიალიზაციას. პროტექციონიზმი, მათ შორის ტარიფები და უცხოური გაცვლითი კურსის რეგულირება ხელს უშლის კაპიტალის შემოდინებას ქვეყანაში. ამ კაპიტალის გარეშე შეუძლებელია ახალი საწარმოების აშენება და არსებულის გაუმჯობესება. ამას მოჰყვება ის, რომ პროტექციონიზმი ხელს უშლის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და შესაბამისად, აფერხებს ყვეყნის წინსვლას[41]. 1992 წლამდე ესტოენთის მთავრობამ გააუქმა ყველანაირი სატარიფო და არასატარიფო ბარიერები. მან უზრუნველყო, რომ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტორებს ესარგებლათ თანაბარი პირობებით კანონმდებლობის დონეზე და ბოლომდე გაუღო კარი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, მათ შორის მსოფლიო ბანკიდან და საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან განვითარებისათვის საჭირო დახმარების იმედად ყოფნის ნაცვლად, ესტონეთმა აქცენტი გააკეთა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და ვაჭრობის ხელშეწყობაზე. მარტ ლარმა, ესტონეთის ყოფილმა პრემიერ მინისტრმა გნაცხადა: „არ მოგვცეთ დახმარება, მოგვეცით მეტი ვაჭრობა.“[42] ესტონეთის ღია სავაჭრო პოლიტიკა წარმატებული აღმოჩნდა. ძალიან ბევრი ახალი ექსპორტზე ორიენტირებული საწარმო გაიხსნა, რამაც გაზარდა კონკურენცია და ხელი შეუწყო მოდერნიზაციასა და ზრდას. 1993 წლამდე ესტონეთი თითქმის უცნობი იყო უცხოელი ინვესტორებისთვის. მომდევნო წელს კი იგი მათთვის „მექა“ გახდა. გვიანდელ 1990-იან წლებში ესტონეთმა მიიღო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ყველაზე მაღალი უცხოური

---

[40] Laar

[41] Economic Policy: Thoughts for Today and Tomorrow

[42] Laar

ინვესტიციები ერთ სულ მოსახლეზე. ამ ინვესტიციებმა მოიტანა ახალი ტექნოლოგიები და ცოდნა და წინ უძღოდა ახალი სამუშაო ადგილების მშენებლობას და ძველი საწარმოების რეკონსტრუქციას[43]. ამ პერიოდში ვაჭრობა აღორძინდა ესტონეთში. 1990 წელს რუსეთმა განახორციელა ესტონეთის სავაჭრო ურთიერთობების მონოპოლიზირება და დასავლეთ ევროპას გააჩნდა 1 პროცენტზე ნაკლები წილი მთლიან ვაჭრობაში. დღეისათვის, დასავლეთ ევროპასთან ვაჭრობა შეადგენს ესტონეთის სავაჭრო მოცულობის ორ მესამედს[44]. ესტონეთი წარმოადგენს ბრწყინვალე მაგალითს იმისა, თუ როგორ შეუძლი ეკონომიკურ თავისუფლებას ქვეყნის ტრანსფორმაცია. 50 წლიანი კომუნისტური წყობილების შემდეგ ესტონეთის ეკონომიკა გაპარტახებული იყო. ინფლაცია პიკს აღწევდა, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მინიმალური იყო და ეკონომიკას უჭირდა ფუნქციონირება. მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ იყო მარტივი, ეკონომიკაში ჩაურევლობის შედეგად ესტონეთმა მიაღწია ეკონომიკურ ზრდას და თავისუფალი ბაზრით შექმნილ ბუნებრივ წყობას. აღნიშნულმა პატარა პოსტ-საბჭოთა ქვეყანამ აჩვენა, რომ თავისუფლება მნიშვნელოვანია.

## 2.2.მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი ლიეტუვას ეკონომიკურ განვითარებაში.

თუკი გადავხედავთ საერთაშორისო ლიტერატურას, გამოჩნდება, რომ თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ ლიტვა განვითარებულია პრივატიზაციის, ფასის ლიბერალიზაციის და ღია ეკონომიკის თვალსაზრისით. მეორე მხრივ, ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლები მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანას არ შეუძლია უზრუნველყოს სტაბილური ეკონომიკური განვითარება.

---

[43] Laar

[44] Razeen Sally, "Free Trade in Practice: Estonia in the 1990s," Central Europe Review, 10 July 2000, 12 November 2007 <www.ce-review.org/00/27/sally27.html>

ლიტვის მაგალითის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების ანალიზი, როგორიცაა თანამედროვე ლიტვის ისტორიის კომპლექსური განვითარება (სტრუქტურული ცვლილებები, როგორიცაა ეკონომიკის დეფიციტის შემადგენლობა, დეფიციტი დეფიციტი ეკონომიკა, ვაჭრობის ლიბერალიზაციის ეფექტი და ჩრდილოვანი ეკონომიკა) და ეროვნული ანგარიშგების მეთოდოლოგიის გამოწვევები, რომელიც ნაწილობრივ ვერ ასახავს ამ მოვლენებს. მტკიცებულებები გვიჩვენებს, რომ ეროვნული ანგარიშები მთლიანად ვერ აფასებს ლიტვის მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ).

1990 წელს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ლიტვამ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები განიცადა. დიდი ეკონომიკური რეფორმები მოიცავს ფასების ლიბერალიზაციას და მცირე და საშუალო საწარმოების პრივეტიზაციას 1991 წლიდან 2000 წლამდე. ეროვნული ვალუტის შემოღება განხორციელდა 1992-1993 წლებში, რომელიც მოიცავდა ინფლაციის კონტროლს ეროვნული მონეტარული პოლიტიკის მეშვეობით. 1994 წელს სავალუტო საბჭოს რეჟიმის შემოღებით, მოხდა ანტი ინფლაციურ პოლიტიკის ჰეჯირება. საბაზრო რეფორმების შემოღებიდან პირველი ათწლეულის განმავლობაში გარდამავალი პერიოდის ინსტიტუციურ ასპექტებს მიენიჭა ყველაზე დიდი პრიორიტეტი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რაც საბოლოოდ დასრულდა იმით, რომ ქვეყანას მიენიჭა ფუნქციური საბაზრო ეკონომიკის სტატუსი ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ. განვითარების რაოდენობრივი მაჩვენებლები არ იწვევდა დიდ ინტერესს კვლევითი საზოგადოების მხრიდან, სანამ ქვეყანა არ წააწყდა სწრად (წელიწადში საშუალოდ 7%-იან) ეკონომიკურ ზრდს 2001-2007 წლებში, მეტსახელად "ბალტიისპირეთის ვეფხვები", და დიდ ჩავარდნას 2007-2009 წლებში, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტი მეოთხე კვარტალში ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის მაჩვენებლებთან შედარებით შემცირდა 20,14%,-ით 25,5%-ით და 15,8%-ით შესაბამისად. აღნიშნულის გამო საერთაშორისო განრიგის დღის წესრიგში დადგა ბალტიისპირეთის ქვეყნების შესწავლა.

*გარდამავალი პერიოდი*

1990 წელს ლიეტუვას რესპუბლიკა გამოცხადდა საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებელ ქვეყნად და მყისიერად დაიწყო რადიკალური საბაზრო რეფორმების განხორციელება. 1991 წელს ლიეტუვას დამოუკიდებლობის საერთაშორისო დონეზე აღიარებამ წარმოშვა რეფორმების პროცესის ბუმი. 1991-1995 წლებში რეფორმები მიმართული იყო ფასების ლიბერალიზაციაზე და მცირემასშტაბიან პრივატიზაციაზე. 2000 წლისათვის ეკონომიკამ განახორციელა სავაჭრო და უცხოური გაცვლითი კურსის რეფორმები და გახდა ეკონომიკურად უფრო მეტად გახსნილი საერთაშორისო ვაჭრობისთვის. 1992-1993 წლებში შემოღებულმა ეროვნულმა ვალუტამ „ლიტამ" ხელი შეუწო ინფლაციის სტაბილიზაციას და საგარეო ვაჭრობას. 1994 წელს შემოღებულმა სავალუტო საბჭოს რეჟიმმა მოახდინა შემზღუდველი მონეტარული პოლიტიკის ჰეჯირება. სავალუტო საბჭოს სისტემა განახლდა 2002 წელს, როდესაც ლიტა მიება ევროს კურსს აშშ დოლარის კურსის ნაცვლად.

საბაზრო რეფორმების საწყისი პროგრესი კიდევ უფრო გააძლიერა 2000-2005 წლებში განხორციელებულმა სამრეწველო და საფინანსო კომპანიების რადიკალურმა ფართომასშტაბიანმა პრივატიზაციამ და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებმა.

ლიეტუვაში საბაზრო რეფორმების საერთაშორისო აღიარება მიღებულ იქნა ევროკავშირის წევრობით 2004 წლიდან და ასევე საერთაშორისო სააგენტოების შეფასებებით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის უკანასკნელი შეფასებებით, 29 პოსტსაბჭითა ქვეყნიდან ლიეტუვა აღმოჩნდა 10 მოწინავე ქვეყანას შორის მიიღო რა საუეთესო ქულები მცირემასშტაბიან პრივატიზაციაში, ფასსების ლიბერალიზაციაში, სავაჭრო და უცხოური გაცვლითი კურსის სისტემაში და რიგით მეორე საუკეთესო ქულები კონკურენციის პოლიტიკაში, საბანკო რეფორმაში და ფასიანი ქაღალდების ბაზარში[45].

[45] Transition report 2010: 4

*<u>რეფორმების შედეგები მთლიანი შიდა პროდუქტის სტატისტიკის მიხედვით</u>*

საბაზრო რეფორმების დადებითი შეფასებები დაფუძნებული უნდა იყოს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. წარმატებულმა რეფორმებმა უნდა გაზარდოს საზოგადოების საერთო კეთილდღეობა. კეთილდღეობის დინამიკის გასაზომად ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი  გახლავთ მთლიანი შიდა პროდუქტი.

ოფიციალური საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, ლიეტუვას მთლიანი პროდუქტის ზრდა გამოსახულია შემდეგ დიაგრამაზე:

*დიაგრამა 2-3. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (ინდექსი, 1990 = 100). წყარო: მსოფლიო ბანკი*




თუკი ბოლომდე ვენდობითთ ოფიციალურ სტატისტიკას, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლიდან 20 წლის შემდეგ ლიტვას მთლიანი შიდა პროდუქტი 5%-ით მეტის 1990 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. თუმცა, თუ დავაკვირდებით კუმულაციურ დამატებით ღირებულებას (შევკრიბავთ 2010 წლამდე დაფიქსირებულ ყოველი წლის მთლიანი შიდა პროდუქტის სხვაობას 1990 წელთან მიმართებაში), ეს იქნებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის 180,8%-იანი დანაკარგი. მონაცემების მიხედვით, დაახლოებით იგივე შედეგები ჩანს ლატვიის მაგალითზე.

იმისათვის, რომ უკეთ გავაანალიზოთ ლიეტუვას გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე, შეგვიძლია ეს პერიოდი დავყოთ რამოდენიმე მნიშვნელოვან ეტაპად. 1990 წლიდან 2010 წლამდე ლიეტუვას ეკონომიკაშ ოთხი ძირითადი ეტაპი იკვეთება თავისი არსით:

- თავდაპირველი გარდამავალი პერიოდი 1990-1994 წლებში
- საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდი 1994-2003 წლებში
- საერთაშორისო ბაზარზე ეკონომიკის ინტენსიური გახსნის პერიოდი 2004-2007 წლებში
- ეკონომიკური ბუმის პერიოდი 2008-2010 წლებში

*<u>თავდაპირველი გარდამავალი პერიოდის მიმოხილვა</u>*

ლიეტუვას პირველი ნაბიჯები საბაზრო ეკონომიკისკენ 1990-1994 წლებს ეკუთვნის. ამ პერიოდისათვის ქვეყანამ განიცადა მთლიანი შიდა პროდუქტის 43.86%-იანი კლება და წლიური 318%-იანი ინფლაცია, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაში.

გარდამავალი პერიოდის რეცესია უზარმაზარი იყო იქედან გამომდინარე, რომ მოხდა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები. პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებს ინდუსტრიალიზაცია ძვირი დაუჯდათ. ლიეტუვას მსგავს ქვეყნებს, რომლებმაც გადაწყვიტეს მნიშვნელოვნად შეემცირებინათ სამხედრო წარმოება და სუბსიდიები, უარყოფითი შედეგები მიიღეს მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებზე. მიწოდების ჯაჭვის რადიკალურმა დივერსიფიკაციამ და ახალი სუბსიდიების შემოდინებამ გამოიწვია ადგილობრივი ინდუსტრიების წარმოების ჩავარდნა[46]. ლიეტუვამ გაიარა უცნობ საერთაშორისო ბაზარზე ფუნქციონირების მტკივნეული გაკვეთილი.

*<u>საბაზრო ეკონომიკის ფორმირება (1995 – 2003)</u>*

[46] Blanchard 1996

ლიეტუვას ისტორიაში ეს პერიოდი წარმოადგენს სტაბილური ზრდის ეტაპს 1999 წლის რეცესიამდე. საშუალო წლიური ზრდა აღნიშნულ პერიოდში 5.4%-ს შეადგენდა. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკსკენ სვლას ყოველწლიურად თვალყურს ადევნებდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი[47], რომელიც აანალიზებდა ღია ეკონომიკის, პრივატიზაციის და მმართველობის ინდიკატორებს. გარდამავალი პერიოდი უკვე დასრულებული იყო, თუმცა არსებობდა ასევე სხვა სირთულეებიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ლიტვამ მოიპოვა საერთაშორისო ბაზარზე ხელმისაწვდომობა. კვლევები ცხადყოფს, რომ ასეთი შესაძლებლობები იძლევა საერთო კეთილდღეობის უფრო მეტად ზრდას[48]. თუკი ერთიდაიგივე ხარისხის საქონელი უცხოურ ბაზარზე შედარებით იაფია, მაშინ უმჯობესია ადგილობრივი მოხმარების შემცირება და მისი ჩანაცვლება იმპორტით, იმისათვის, რომ გაიზარდოს საყოველთაო კეთილდღეობა. ანალოგიურად, თუ ლიეტუვას საქონელი არის მეტი ღირებულების, მაშინ უმჯობესია მისი ექსპორტი და შესაბამისად, ერთ კალათაზე ქვეყანას ექნება უფრო მეტი შემოსავალი: გაიზრდება საყოველთაო კეთილდღეობა ექსპორტის წახალისების შედეგად. ლიეტუვას ჰქონდა პოტენციალი იმპორტის მეშვეობით გაეზარდა კეთილდღეობა, თუმცა მოგვიანებით გამოჩნდა მისი საექსპორტო უპირატესობები.

*ბუმის პერიოდი (2004 – 2007)*

ბუმის პერიოდში ლიეტუვამ განიცადა დიდი ზრდა. ეს ნაწილობრივ აიხსნება გამოუყენებელი მატერიალური და არამატერიალური რესურსების უტილიზაციით. იმ დროისათვის ფიქსირდებოდა არსებითი ოფიციალური უმუშევრობის დონე (12.5% 2003 წელს) და სტრუქტურული ფარული უმუშევრობის დონე სოფლის მეურნეობის სექტორში (სოფლის მეურნეობაში არსებული სამუშაო ძალა შეადგენდა 22.3%-ს) და გამოუყენებელი შეფასებადი კაპიტალი. გარდა ამისა, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პერიოდში

[47] Transition report, 1998

[48] Andrew B. and others 1999

წარმოიშვა პოტენციალი, რომელიც გულისხმობს ხელმისაწვდომობას ახალ ბაზრებზე, პროდუქტის შექმნას და ზრდასთან დაკავშირებულ ცოდნის ფორმირებას. 2004 წელს ლიეტუვაში დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მესამე ეტაპი. მაშინ როდესაც ფრამოდენიმე ქვეყანაში ექსპორტი უკვე კარგად იყო უტილიზებული, ევროპის ერთიან ბაზარზე შესვლით მან კიდევ უფრო გაამყარა ურთიერთობა ევროკავშირთან. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ლიტვაში დომინირებული ნეო ლიბერალური იდეოლოგია თავის ნაყოფს ისხამდა. ქვეყნის ფისკალურმა სტაბილურობამ და სავალუტო საბჭოს ღონისძიებებით გაძლიერებულმა ფიქსირებულმა გაცვლითმა კურსმაა დაარწმუნა საერთაშორისო ბაზრები ლიეტუვას ეკონომიკის საინვესტიციო შესაძლებლობებში.

*<u>რეცესიის პერიოდი და აღორძინება (2008 – 2010)</u>*

ლიეტუვაში, ისევე როგორც ბაალტიის რეგიონში 2008-2009 წლების რეცესია წარმოადგენდა გლობალური და რეგიონალური გარდამავალი ფაქტორების მიქსს. შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ არ არის მართებული გარდამავალ პერიოდზე საუბარი ევროკავშირთან იტეგრაციიდან 6 წლის შემდეგ. ევროპის რეკოსნტრუქციისა და განვითარების ბანკის უახლესი კვლევების მიხედვით ბალტიისპირეთის ქვეყნებს მიენიჭათ 4 ქულა 1-დან (ხისტი ცენტრალიზებული ქვეყნები) 4+-ის ჩათვლით (სტანდარტული ინდუსტრიალიზებული საბაზრო ეკონომიკა). აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ გარდამავალი პერიოდი დასასრულს უახლოვდება. მეორე მხრივ, მთლიანი რეგიონის რეცესიის რეკორდული რიცხვები მეტყველებს ადგილობრივი ეკონომიკის დაუცველობაზე შიდა და გარე შოკების მიმართ.

*დიაგრამა 2-4. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (ინდექსი 2007 წლის მეოთხე კვარტალი = 100). წყარო: მსოფლიო ბანკი*




ეკონომიკური განვითარების ორივე ათწლეული შეიცავს ინდუსტრიალიზებული საბაზრო ეკონომიკისკენ გარდამავალი პერიოდის ელემენტებს. მეორე ათწლეულში გამოკვეთილი ტრენდი ყველაზე ზუსტად არის ასახული სტატისტიკის მიერ, ისევე როგორც ამას აღიქვამს განვითარებული ქვეყნების მიერ შემუშავებული ეკონომეტრიკული მოდელები.

„მბრძანებლური“ ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ლიეტუვასა და სხვა პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებში დაიწყო 1990 წელს. რადიკალური რეფორმები აღმოჩნდა დიდი გამოწვევა არა მხოლოდ რეფორმების ინიციატორებისა და აღმსრულებლებისთვის, არამედ ანალიტიკოსებისთვისაც, რომლებსაც რაოდენობრივი მაჩვენებლებით უნდა შეეფასებინათ ეკონომიკური შედეგები. კვლევებმა ცხადყო, რომ იმის მიუხედავად, რომ შესაძლოა გარდამავალი პერიოდი ჯერ კიდევ არ იყოს დასრულებული, მაინც შესაძლებელია ეკონომიკის წახალისება და კონკურენციის ხელშეწყობა.

## 2.3.მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შედეგები ლატვიაში.

საბჭოთა კავშირის დაშლა იყო ახდენილი ოცნება ლატვიელი ხალხისთვის, რომლების თავისი სურვილით არ გაერთიანებულან აღნიშნულ სივრცეში. მათი მთავარი მიზანი იყო ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა და თავიანთი ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, რომელიც განხორციელდა 1991 წლის აგვისტოს. ამის შემდგომი ეტაპი იყო ნორმალური, ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და პოსტ-საბჭოთა ეკონომიკური ქაოსისგან თავის დაღწევა. ეს ყველაფერი უნდა განხორციელებულიყო დასავლეთ ევროპის ნორმალური საპარლამენტო დემოკრატიის მშენებლობის პარალელურად[49].

*დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა*

ლატვიამ რთული ეპოქა გამოიარა, განსაკუთრებით გასულ საუკუნეში. პირველის მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, 1918 წლის ნოემბერში ლატვიის მთავრობამ ისტორიაში პირველად გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა საბჭოთა რუსეთის კონტროლისგან. თუმცა რამოდენიმე კვირაში საბჭოთა რუსეთის კომუნისტებმა აიღეს სადავეები ხელში. კომუნისტური წყობილებისა და თავისუფლებას შორის გაჩაღებული ბრძოლის შემდგომ, რომელიც მიმდინარეობდა გერმანელი და რუსი ჯარის წინააღმდეგ, 1920 წლის 11 აგვისტოს ლატვიამ ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის მშვიდობის ტრაქტატს და საბჭოთა რუსეთმა აღიარა ლატვია დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ. 20 წელი გრძელდებოდა ლატვიის დამოუკიდებლობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ლატვია ძალიან დასუსტებული იყო ეკონომიკურად. 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის მიერ მიღებულმა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტმა გადაწყვიტა ლატვიას ბედი, რომელიც აღმოჩნდა საბჭოთა

[49] Anders Aslund, Building Capitalism: The Transformation of the Former Soviet Bloc (New York: Cambridge University Press, 2002)

კავშირის მმართველობის ქვეშ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ლატვია პოლიტიკურად და ეკონომიკურად ითვლებოდა საბჭოთა კავშირის ნაწილად და ხდებოდა ქვეყნის ინტენსიური რუსიფიკაცია. საბჭოთა რეპრესიების აღმოცემებისთანავე, ლატვიამ, ისევე როგორც ლიეტუვამ და ესტონეთმა, დაიწყო დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ზრუნვა. ქვეყნებმა დაიწყეს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის გაუქმების შესახებ გამოსვლები. 1988 წელს შეიქმნა დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით გამსჭვალული მოძრაობა, რომლებიც უპირველესად იყვნენ ნაციონალისტები, თუმცა ასევე დემოკრატიულ და ლიბერალურ პრინციპებსაც იზიარებდნენ. ლატვია განსხვავდებოდა ლიტვისგან და ესტონეთიგან იმ კუთხით, რომ მას აკონტროლებდა საბჭოთა სამხედრო ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი, ვიდრე მის მეზობელ ქვეყნებს. 1991 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მოიპოვეს რეალური დამოუკიდებლობა. ამავე წლის 17 სექტემბერს გაერომ მიიღო ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა, როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოები. გრძელვადიანი მოლაპარაკებების შემდგომ, 1994 წლის 31 აგვისტოს რუსეთის ჯარის უკანასკნელმა ნაწილმა დატოვა ლატვიის ტერიტორია.

*რადიკალური გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე*

1991 წელს, როდესაც ლატვიამ დატოვა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ეკონომიკა იყო ყოველი მხრიდან დაშლის პროცესში: მთლიანი შიდა პროდუქტი იყო დაცემის პირას, საბჭოთა ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 31%-ს, ფასები იზრდებოდა ელვისებური სისწრაფით, უცხოური სავალუტო რეზერვები არ იყო ხელმისაწვდომი, რაც ყველაზე მეტად უშლიდა ხელს ვაჭრობას. ლატვიას მთლიანი შიდა პროდუქტის ვარდნა არ ჩამოუვარდებოდა 49 პროცენტს[50].

[50] United Nations Economic Commision for Europe, Economic Survey of Europe, no. 1: 225 (New York: United Nations, 2000)

ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისთვის. ლატვიის რეფორმების ნაკრები მოიცავდა სისტემური ცვლილებების სტანდარტულ ელემენტებს: ფასების და ვაჭრობის ლიბერალიზაცია, მაკროეკონომიკური სტაბილურობა და პრივატიზაცია. ყველა სახის ეროვნული ინსტიტუტები და კანონმდებლობა უმეტეს შემთხვევაში ახლიდან უნდა შექმნილიყო[51]. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ყველაზე რთული პროცესი იყო მონეტარული სტაბილიზაციის დამყარება. ბალტიისპირეთის ნაციონალისტები ცდილობდნენ თავი დაეღწიათ რუბლის დესტაბილიზაციის ზონიდან რაც შეიძლება მალე და შემოეღოთ საკუთარი ეროვნული ვალუტა. ეროვნული ვალუტის შემოღება ითვლებოდა საუკეთესო ბარიერად რუსეთის წინააღმდეგ. მათ უგულებელყვეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხარჯი, რადგან პრო-დასავლური სტაბილური საბაზრო ეკონომიკა განიხილებოდა საუკეთესო გრძელვადიან სტრატეგიად. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელსაც ლატვია შეუერთდა 1992 წელს, რუბლის ზონას კრიტიკულად აფასებდა და და ნეიტრალური პოზიციას იჭერდა. თუმცა იგი დაეხმარა ქვეყანას ადგილობრივი ვალუტის შემოღებაში 1992 წლის შუახანებში[52]. ლატვიამ გაიარა სტაბილიზაციის შთამბეჭდავი ეტაპი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და დიდი მოცულობის საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერით, თუმცა აღნიშნული სტაბილიზაციის შიგნით იყო მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, რომელსაც სათავეში ედგა ლატვიის უპირატესი რეფორმერი, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ხელმძღვანელი და 1991-2001 წლებში ლატვიის ბანკის თავმჯდომარე ეინარს რეპსე. ლატვია ყველანაირი ხარჯის მიუხედავად ცდილობდა წარმატების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ იგი იმეორებდა ესტონეთის ნაბიჯებს, მას არ ჩამოუყალიბებია სრულფასოვანი სავალუტო საბჭო. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო საერთაშორისო სავალუტო რეზერვების დეფიციტი.

---

[51] Ardo Hansson, "The Trouble with the Rouble: Monetary Reform in the Former Soviet Union", in Changing the Economic System in Russia, ed. Anders Aslund and Richard Layard (New York: St. Martin's Press, 1993, 163-82)

[52] Ardo Hansson, "Macroeconomic Stabilization in Baltic States", in Macroeconomic Stabilization in Transition Countries, ed. Mario I. Blejer and Marko Skreb (New York: Cambridge University Press, 1997, 256-80)

ოოფოციალურად, ლატვიამ დაამყარა რეგულირებადი მცურავი კურსი, რომელიც რეალურად იყო ვალუტის არაფორმალურად ფიქსირება.

*დიაგრამა 2-5. წლიური ინფლაციის დონე 1992-1997 წლებში. წყარო: მსოფლიო ბანკი*




1993 წელს ინფლაციის დონე მკვეთრად დაეცა 1992 წელთან შედარებით: 959%-დან 35%-მდე, თუმცა ერთნიშნა რიცხვს იგი მხოლოდ 1997 წელს გაუტოლდა, რომლის შემდგომაც ინფლაცია 3%-ის ფარგლებში მერყეობდა. ფისკალური პოლიტიკის საკითხებში ლატვია იმეორებდა ესტონეთის მაგალითს რადიკალურ მიმართულებას. სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შეძლეს გაეარათ ისეთი დანახარჯების მკაცრი და მტკივნეული შემცირება, როგორიცაა საწარმოო და საფასო სუბსიდიები. ლატვიის სახელმწიფო დანახარჯები დასტაბილურდა მთლიანი შიდა პროდუქტის 38%-მდე. 1993-1995 წლებში მან შემოიღო მარტივი და ჯანსაღი საგადასახადო სისტემა, რომელიც მოიცადა ოთხ ძირითად გადასახადს და აბალანსებდა სახელმწიფო დანახარჯებს: ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადი 25 პროცენტის ოდენობით, დამატებითი ღირებულების გადასახადი 18 პროცენტის ოდენობით, ფიქსირებული კორპორატიული მოგების გადასახადი 25 პროცენტის ოდენობით, რომელიც შემდგომ შემცირდა 15 პროცენტამდე. ძველი სოციალური სახელფასო გადასახადი შეიცვალა

სოციალური უსაფრთხოების კონტრიბუციით, რომელიც თანდათანობით შემცირდა 27 პროცენტიდან 33 პროცენტამდე. საგადასახადო სისტემა იყო მარტივი და ეეფექტური და 1990-იანი წლების შუა რიცხვებიდან დღემდე არ განუცდია ძირეული ცვლილებები. პრივატიზაცია ლატვიაში განიხილებოდა ოგორც არამარტო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ბაზისი, არამედ მორალის და სამართლიანობის საკითხი. ლატვიის ძველი საკუთრების უფლებები ჯერ კიდევ ახსოვდა საზოგადოებას, რომლის მიხედვითაც მოხდა კუთვნილი საკუთრების დაბრუნება თავდაპირველ მფლობელებთან. სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და კერძო საკუთრების პრივატიზაციის პროცესი სწრაფად დაიწყო, თუმცა საშუალო და დიდი ზომის საწარმოების გასხვისება არ იყო შესაძლებელი. მცირე ზომის საწარმოები მარტივად გაიყიდა კერძო მფლობელებზე და ვაუჩერის პროგრამითაც განხორციელდა მათი ნაწილის პრივატიზაცია. ასეთი ტემპენით, 1998 წლისათვის, მთლიანი შიდა პროდუქტის ორი მესამედი გენერირდებოდა კერძო სექტორში, თუმცა სახელმწიფოს მფლობელობაში რჩებოდა რამოდენიმე დიდი ზომის სააწარმო, რომლის პრივატიზაციაც ეკონომიკურად და პოლიტიკურად რთული იყო[53]. პრივატიზაციის რეფორმის ეკონომიკურად წარმატებულობის პარალელურად, საზოგადოების ნაწილი მიიჩნევდა, რომ იგი იყო არასამართლიანი და კორუფციული პროცესი, რომლის შედეგადაც სახელმწიფო ქონების უმეტესი ნაწილი აღმოჩნდა წინასწარ განსაზღვრული პირების ხელთ რადიკალურად დაბალ ფასად.

<u>ლატვიის დემოკრატიული პოლიტიკის ევოლუცია</u>

ლატვიის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ქვეყანაში თავისუფლებამ და დამოუკიდებლობამ გაიმარჯვა[54]. ქვეყანას აქვს საპარლამენტო სისტემა, ასევე ჰყავს შეზღუდული ძალაუფლების მქონე პრეზიდენტი, რომელიც აირჩია პარლამენტმა. 1998

[53] Roman Frydman, Andrzej Rapaczynski, John S. Earle, et al., The Privatization Process in Russia, Ukraine, and Baltic States (Budapest: Central European University Press, 1993)

[54] Anatol Lieven, The Baltic Revolution: Estonia, Latvia, Lithuania, and the Path of independence (New Haven, CT: Yale University Press, 1993).

წლიდან ქვეყანაში ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება საპარლამენტო არჩევნები. 1991 წლიდან დღემდე ლატვიის პოლიტიკას ორი ძირითადი საკითხი ყოფს: ერთი მხრივ ეთნიკურობა და რეფორმები, მეორე მხრივ მინიჭებული ინტერესები. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, ეთნიკური ლატვიელები დომინირებენ ყველა მმართველ პოლიტიკურ პარტიაში. ერის მშენებლობა იყო ადრეული პოსტ-საბჭოთა პერიოდის ბუნებრივად მთავარი მიზანი, რომელიც მოიცავდა უფლებას ლატვიის მოქალაქეობაზე და ლატვიური ენის ოფიციალურად აღიარებას. ეთნიკური რუსები, უკრაინელები და ბელორუსიელები თავს ერთად იყრიდნენ სხვადასხვა პარტიებში. ისინი ვერ მოხვდნენ ქვეყნის მმართველ პოზიციებზე, რადგან არ აღიარებდნენ ლატვიის სახელმწიფოებრივ და საგარეო ვაჭრობის ძირითად პრინციპებს. ლატვიას ჰყავს ბევრი პოლიტიკური პარტია და ისინი ძირითადად დაკომპლექტებულია პირადი შეხედულებების და არა იდეოლოგიების მიხედვით, რადგან მათი პოლიტიკური ხედვები ასე თუ ისე მსგავსია. როგორც ყოველთვის, ექვსი ან შვიდი ძირითადი პარტია არის წარმოდგენილი ლატვიის პარლამენტში, რაც იმას ნიშნავს, რომ სამი ან ოთხი პარტია იყო საჭირო იმისათვის, რომ ჩამოყალიბებულიყო სამთავრობო კოალიცია. პარტიებს შორის ინტენსიური არაკეთილსინდისიერი პოლიტიკური თამაშების შედეგად, თითოეულმა მთავრობამ გასტანა ერთ წელზე ცოტა მეტი, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია რეფორმების პროცესისთვის, რადგან პოლიტიკური შეხედულებები ძირითად ნაწილში ერთმანეთს ემთხვეოდა. ამასთან, სამთავრობო გადატრიალებებმა ხელიც კი შეუწყო კორუფციის აღმოფხვრას ქვეყანაში, რაც თავის მხრივ ახალისებდა რეფომირებას. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რეფორმასა და დიდ ბიზნესმენებს, ანუ ოლიგარქებს შორის მინიჭებულ ინეტერესებს შორის. თავდაპირველად, რეფორმერები და დიდი ბიზნესმენები ერთმანეთს ეწყობოდნენ ერთსა და იმავე ცენტრირებულ პარტიებში, რადგან მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. დროთა განმავლობაში მათი ინტერესები შეიცვალა და ისინი განცალკევდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ინტერესების ქვეშ. ლატვიას ბევრი საერთო ჰქონდა სხვა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან. ერთ-ერთი მათგანი იყო კორუფცია. კორუფციის დასამარცხებლად 1997 წელს შეიქმნა კორუფციის პრევენციის საბჭო და 2002 წელს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ანტიკორუფციული

ერთეული - კორუფციის პრევენციისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო. აღნიშნული ნაბიჯების შემდგომ საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ შეფასებული ლატვიის კორუფციის აღქმის ინდექსი გაუმჯობესდა.

*დიაგრამა 2-6. კორუფციის ინდექსი 2000-2010 წლებში. წყარო: მსოფლიო ბანკი*




2004 წლისათვის ლატვიის ეკონომკური წარმატება სამაგალითო გახდა. 13 წლის განმავლობაში ქვეყანამ საკუთარი თავი ხელახლა დაიმკვიდრა, როგორც დამოუკიდებელმა სუვერენულმა სახელმწიფომ. მან შეძლო და გაიარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირეული ნაბიჯები და გახდა დემოკრატიული ქვეყანა, გაწევრიანდა ევროკავშირსა და NATO-ში, დაამყარა კონკურენტული საბაზრო პირობები და გააძლიერა კერძო საკუთრების ფლობის პრინციპები.

# თავი 3. მცირე და საშუალო მეწარმეობის არსებული მდგომარეობა და განვითარების შესაძლებლობები საქართველოში.

## 3.1.მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირების შედეგები და პრობლემები.

უკეთესი მდგომარეობისკენ და შემოსავლების გამრავლებისკენ სწრაფვა ბუნებრივი ჰომო ეკონომიკური პროცესია, რომელიც ეკონომიკური ლოგიკით არის ნაკარნახევი. საწარმოები ფუნქციონირებენ გარკვეულ პირობებში, რაც ერთობლიობაში ქმნის სამეწარმეო გარემოს. აღნიშნული წარმოადგენს სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ნაკრებს, რომელიც საშუალებას აძლევს მეწარმეს მოახდინოს დასახული მიზნების რეალიზაცია. სამეწარმეო გარემო არის ქვეყანაში ფორმირებული საერთო საზოგადოებრივი სიკეთის მომტანი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და კულტურულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ბაზრის მონაწილე სუბიექტებისათვის უზრუნველყოფს ბიზნესის წარმართვის თავისუფლებას. როგორც ინტეგრირებული და რთული სისტემა, სამეწარმეო გარემო იყოფა შიდა და გარე გარემოდ. გარე გარემო არაა დამოკიდებული მეწარმეზე და ძირითად შემთხვევებში მოიცავს:[55]

- ეკონომიკურ მდგომარეობას ქვეყანაში და რეგიონში, ხოლო გლობალიზაციის პირობებში მთელ მსოფლიოსაც კი;
- პოლიტიკურ მდგომარეობას;
- სამართლებრივ ჩარჩოებს;
- სოციო-კულტურულ გარემოს;
- მეცნიერულ-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სფეროს;

შიდა გარემო მოიცავს:

---

[55] *Гребеник В.,*Основы бизнесса ; Учебное пособие, Мю2005.-172с.

- საჭირო ოდენობის საკუთარი კაპიტალის არსებობას;
- ფირმის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სწორ არჩევანს;
- მოღვაწეობის სფეროსა და პარტნიორების სწორ შერჩევას;
- ბაზრის შესწავლასა და კვლევების პროფესიონალურად წარმართვას;
- კადრების შერჩევასა და პერსონალის მართვას;
- კომერციული საიდუმლოების უსაფრთხოებას და სხვა.

მეწარმეობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების შეფასებისას, უნდა განისაზღვროს სამეწარმეო გარემოზე და ზოგადად მეწარმეობაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორები. მეწარმეობაზე მოქმედი მაკროეკონომიკური ფაქტორებიდან შეგვიძლია შემდეგი გამოვარჩიოთ.

შიდა ფაქტორები:

- შიდა ინფლაციის დონე;
- უმუშევრობის დონე;
- ინვესტიციების დინამიკა;
- კრედიტების ხელმისაწვდომობა;
- საგადასახადო პოლიტიკა და განაკვეთები;

გარე ფაქტორები:

- სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა;
- სავალუტო კურსი;
- მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურა.

მცირე საწარმოების წილი საქართველოს საერთო გამოშვებაში 6.6%-ს შეადგენს და მინიმუმ 6-ჯერ ჩამორჩება ევროკავშირის შესაბამის მაჩვენებელს (40%). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ბაზარზე გამოშვების ყველაზე მეტი წილი მოდის დამამუშავებელ მრეწველობაზე, ხოლო შემდეგ კი

მშენებლობასა და ვაჭრობაზე შესაბამისად. ტოპ სექტორებს შორის ხვდება ასევესოფლის მეურეობა, ტრანსპორტი და ოპერაციები უძრავი ქონებით.

*ცხრილი 3-1. მთლიანი გამოშვება მიმდინარე ფასებში (ეკონომიკის ტოპ სექტორები) (წყარო: საქსტატი)*

| **მთლიანი გამოშვება მიმდინარე ფასებში (მლნ ლარი)** | **2018** | **წილი %** |
|---|---|---|
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა | 4,236 | 7% |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 10,757 | 17% |
| მშენებლობა | 8,073 | 13% |
| ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 7,788 | 12% |
| ტრანსპორტი | 4,556 | 7% |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 4,083 | 7% |

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით, დამატებითი ღირებულების მიხედვით, საქართველო ევროპისა და ცენტრალური აზიის 49 ქვეყანას შორის 37-ე ადგილზეა. ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების უკანასკნელ ათეულში შედის ასევე ლატვიაც, რომელიც სხვა დანარჩენ ქვეყნებს მნიშვნელოვნად უსწრებს. 2018 წელს საქართველოს ეკონომიკის მიერ გენერირებული 3,426 მლნ აშშ დოლარის დამატებითი ღირებულება ლატვიის ანალოგიური მაჩვენებლის 52% იყო, რომელიც თანხობრივად 6 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებდა. ეს მაგალითი ცხადყოფს ევროპის ქვეყნების მიერ გენერირებული დამატებითი ღირებულების მასშტაბებს და იმას, თუ რამხელა მოცულობებზეა საუბარი, როდესაც ხდება საქართველოს შედარება ევროპის სხვა ქვეყნებთან.

*დიაგრამა 3-1. ევროპის რიგით ბოლო ათეულში მოხვედრილი ქვეყნების დამატებითი ღირებულება (აშშ დოლარი) 2018 წელს (წყარო: მსოფლიო ბანკი)*




რაც შეეხება საწარმოთა რაოდენობას, საშუალო საწარმოების წილი 9.2%-ია ხოლო ევროკავშირში კი იგივე მაჩვენებელი 18%-ს აღწევს. საწინააღმდეგო შემთხვევასთან გვაქვს საქმე მსხვილი საწარმოების შემთხვევაში. თუ საქართველოში მსხვილი საწარმოების წილის მაჩვენებელი 84%-ს შეადგენს, ევროკავშირში აღნიშნული მაჩვენებელი მხოლო მისი ნახევარია.[56] ამ ყოველივეს შეიძლება ერთადერთი შეფასება მოვუძებნოთ, რაც ძირითად შემთხვევებში ეკონომიკის მონოპოლიზაციაზე და მის არაეფექტურ სტრუქტურიზებაზე მიუთითებს.

საერთაშორისო ანალიტიკური სააგენტოს „კონტროლ რისკ გრუპის“ მიერ გამოქვეყნებული 2007 წლის „რისკების შეფასების რუკაზე“ საქართველო მაღალი ბიზნეს და საშუალო პოლიტიკური რისკების მქონე ქვეყნების რიცხვში მოხვდა. დაბალი რისკეის მქონე ქვეყნებია: ნორვეგია, ფინეთი, სინგაპური, აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი. საშუალო

[56] არჩვაძე ი., საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი, ჟ. სოციალური ეკონომიკა, 20010, #1, გვ.8-13.

რისკის მქონე: ესტონეთი, ლიტვა, შვედეთი, ჩინეთი და ა.შ.შ  მაღალი რისკის ქვეყნებია: ეთიოპია, შრი-ლანკა, სომალი, ერაყი, ტაჯიკეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდავეთი, რუსეთი და სხვა.[57] გავიდა დრო და უკვე 2019 წელს საქართველო ბევრად დაწინაურდა „რისკების შეფასების რუკაზე“ კერძოდ კი 2019 წლის მონაცემების მიხედვით საქართველო საშუალო ბიზნეს და დაბალი პოლიტიკური რისკების მქონე ქვენების რიცხვში გადავიდა და რისკების შეფასებით ესტონეთს, ლიეტუვას, ლატვიასა და დიდ ბრიტანეთსაც კი გაუსწორდა. გარდა ამისა, საშუალო ბიზნეს რისკისა და დაბალი პოლიტიკური რისკების მქონე ქვეყნებში ხვდებიან ისეთი ქვეყნები როგორიცაა: პოლონეთი, გერმანია (მიწების მიხედვით), იტალია, ჩეხეთი, ესპანეთი და სხვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველო ყველაზე სტაბილური და ხელსაყრელი გარემოა ინვესტიციების მოზიდვისა და  სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის რეგიონში.[58] საქსტატის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით საქართველოს სამეწარმეო სექტორის ძირითადი მაჩვენებლები უმჯობესდება ყოველწიურად. იზრდება გამოშვება, ბრუნვა, ასევე დასაქმებულთა ხელფასები. ამ მონაცემების მიხედვით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საწარმოთა ყველაზე დიდი რიცხვი მოდის ვაჭრობის სექტორში, რაც იმას ნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც ადგილობრივ, ისე საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებს.

*ცხრილი 3-2. ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (წყარო: საქსტატი)*

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 I | 2018 II | 2018 III | 2018 IV |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრუნვა, მილიარდი ლარი | 50.1 | 57 | 64.1 | 71.7 | 18 | 19.9 | 21.8 | 25.8 |
| გამოშვებული პროდუქცია, მილიარდი ლარი | 26.1 | 30 | 34.2 | 38.2 | 8.7 | 10 | 10.7 | 11.5 |

[57] ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ., რისკოლოგია. ფინანსური და საბანლო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი, თბ. 2007.-567გვ.

[58] https://www.controlrisks.com/riskmap/maps?source=RMLP

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დამატებული ღირებულება, მილიარდი ლარი | 12.8 | 14.8 | 16.8 | 19 | ... | ... | ... | ... |
| შუალედური მოხმარება, მილიარდი ლარი | 13.2 | 15.2 | 17.4 | 17.4 | ... | ... | ... | ... |
| ფიქსირებული აქტივები, მილიარდი ლარი | 23.2 | 24.8 | 28.2 | 34.9 | ... | ... | ... | ... |
| დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი | 592.1 | 626.7 | 666.8 | 708.2 | 637 | 656.5 | 665.5 | 684.5 |
| დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი | 800.5 | 896.8 | 938.3 | 1 019.7 | 1 106.4 | 1 150.4 | 1 186.7 | 1 318.7 |

*ცხრილი 3-3. ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები საქმიანობის სახეების მიხედვით (წყარო: საქსტატი)*

| | რეგისტრირებული სუბიექტი | აქტიური სუბიექტი |
|---|---|---|
| სულ | 741 811 | 168 168 |
| სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 5 808 | 1 376 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 1 567 | 665 |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 29 871 | 11 027 |
| ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება | 252 | 114 |
| წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები | 756 | 149 |
| მშენებლობა | 17 740 | 6 892 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 136 311 | 54 997 |
| ტრანსპორტი და დასაწყობება | 16 660 | 7 573 |
| განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 14 708 | 5 772 |
| ინფორმაცია და კომუნიკაცია | 5 518 | 1 795 |

| | | |
|---|---|---|
| საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები | 4 218 | 1 784 |
| უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 7 776 | 4 649 |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები | 12 738 | 5 341 |
| ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები | 6 781 | 3 140 |
| სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური დაცვა | 1 834 | 364 |
| განათლება | 6 972 | 4 255 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები | 5 438 | 2 821 |
| ხელოვნება, გართობა და დასვენება | 4 145 | 1 355 |
| სხვა სახის მომსახურება | 15 990 | 4 055 |
| საქმიანობა უცნობია | | |

რაც შეეხება მცირე ბიზნესის მასშტაბებს, მისი განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმებია: დასაქმებულების რაოდენობა და ბრუნვის მოცულობა. გაეროს კლასიფიკაციით მცირე საწარმოდ ითვლება 10-100 დასაქმებული ხოლო საშუალოდ 101-500. აშშ-ში არის 4.5 მილიონი მცირე საწარმო და 7.5 მილიონი ინდივიდუალური საწარმო.[59] ხოლო საქართველოში, როგორც უკვე ვახსენეთ მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას და დასაქმებულთა რაოდენობას და გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით. საშუალოა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულია რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვის მოცულობა 12 მლნ ლარიდან 60 მლნ ლარამდეა. მცირეა საწარმო, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 12 მლნ ლარს.[60] საქართველოში ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მცირე საწარმოთა შექმნის სამი

[59] *Шишин С.,* Малое предпринимателство: сушность место и роль. М.2002.-456с

[60] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გზა არსებობს პრივატიზაცია, მსხვილი სახელმწიფო საწარმოს დანაწევრება და მეწარმის პირადი ინიციატივა. მცირე საწარმოები გავრცელებულია საცალო ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში. მათ რიცხვს განეკუთვნება საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავტომობილების სარემონტო სახელოსნოები, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, საშუამავლო ფირმები და სხვა. მეწარმეობის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო შეადგენს საერთო რიცხვის 52%-ს; შპს - 32.5%-ს დანარჩენი კი 15.5%. მათგან 93.4% კერძო საკუთრებაშია, 6.6% სახელმწიფო საკუთრებაში.[61]

*ცხრილი 3-4. ბიზნეს სექტორი საკუთრების ფორმების მიხედვით.*

| საკუთრების ფორმა | რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა | აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა |
|---|---|---|
| სულ | 741 811 | 168 168 |
| კერძო პირები | 732 174 | 164 528 |
| კერძო პირი-საქართველოს მოქალაქე | 684 995 | 153 766 |
| უცხოელი კერძო პირი | 38 619 | 8 160 |
| კერძო შერეული | 8 560 | 2 602 |
| სახელმწიფო | 6 166 | 2 852 |
| მუნიციპალიტეტი | 1 791 | 551 |
| საკუთრების სხვა ტიპი | 1 680 | 237 |

მეწარმეობა არათანაბრადაა განვითარებული რეგიონალურ ჭრილში, დედაქალაზე მოდის გამოშვებული პროდუქციის თითქმის ნახევარი.

*ცხრილი 3-5. ბიზნეს სექტორი რეგიონების მიხედვით*

| რეგიონები | რეგისტრირებული სუბიექტი | აქტიური სუბიექტი |
|---|---|---|
| სულ | 741 811 | 168 168 |
| ქ. თბილისი | 325 717 | 71 172 |
| აფხაზეთის ა.რ. | 163 | 12 |
| აჭარის ა.რ. | 65 459 | 16 696 |

[61] ერქომაიშვილი გ., ფირმის ეკონომიკა, თბ. 2005.-312გვ.

| | | |
|---|---|---|
| გურია | 17 844 | 4 259 |
| იმერეთი | 100 517 | 22 843 |
| კახეთი | 45 424 | 10 526 |
| მცხეთა-მთიანეთი | 13 775 | 3 095 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 6 190 | 1 225 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 57 102 | 12 076 |
| სამცხე-ჯავახეთი | 22 210 | 5 036 |
| ქვემო ქართლი | 54 937 | 12 903 |
| შიდა ქართლი | 32 473 | 8 325 |

საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ტოპ იმპორტირებულ პროდუქტებში შედის ნავთობპროდუქტები, ბუნებრივი აირი, მედიკამენტები ხოლო ექსპორტირებულ პროდუქტებში კი სპილენძის მადნები, ფეროსილიკომანგანუმი, მსუბუქი ავტომობილები. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო უფო მეტად არის დამოკიდებული ძირითად საარსებო ნედლეულთან როგორიცაა ნავთობი და ბუნებრივი აირი და გააქვს ყვეყნიდან მეტალის შენადნობები, რომელიც არის ნედლეულის სახით და იაფად ამარაგებს სხვა ქვეყნების საკმაოდ მომგებიან ინდუსტრიებს. ექსპორტ-იმპორტის პროდუქციის შემადგენლობის პარალელურად, აღნიშნულ დარგებში მოღვაწე კომპანიები არიან დიდი ზომის საწარმოები. სწორედ ამიტომ ფიქსირდება დისბალანსი დიდსა და მცირე ზომის საწარმოების რაოდენობებს შორის. ნავთობპროდუქტებსა და ფეროშენადნობებით მოვაჭრე კოპანიები საქართველოში ბრუნვის მიხედვით უსწრებენ სხვა დარგში მოღვაწე კომპანიებს. აქედან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშემწყობ პოლიტიკას სჭირდება კომპლექსური მიდგომა, რაც ასევე ითვალისწინებს ვაჭრობისა და წარმოების სფეროების გრძელვადიანი სტრატეგიის ფორმირებას. ქვეყანაში არსებული რესურსებით, საქართველო დიდი საწარმოების სიჭარბის პირას მოვიდა, რადგან აქვს მეტალის შენადნობების მდიდარი რესურსები, ხოლო არც შეეხება ბუნებრის აირსა და ნავთობპროდუქტებს, მაღალი მოთხოვნისა და საჭიროებების გამო, ქვეყანა მეზობელ ქვეყნებზეა დამოკიდებული. ჩვენთვის კარგად ცნობილია განვითარებული ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მდიდარი გამოცდილების არსებობის შესახებ. ამ გამოცდილებების საქართველოს პირობებზე ადაპტაციისთვის, საჭიროა მოვახდინოთ გადასვლა

კონცეპტუალურ საფუძველზე დამყარებულ მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის ძირითად მიმართულებებზე.

## 3.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები და გამოწვევები.

საკუთარი კომპანიის მართვისა და სხვათა კომპანიების დაფუძნების დროს გაწეული დახმარების პროცესში მიღებული გამოცდილებით ფალიტინი გვიჩვენებს, რატომაა კარგად მოფიქრებული იდეა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პატენტი, ახალი ტექნოლოგია ან დიდი ოდენობით საწყისი კაპიტალი. როდესაც ჯიუტად იღვწით, რაც შეიძლება ნაკლები რესურსების გამოყენებით მიზანს მიაღწიოთ, მაშინ ბევრი იდეა თანდათანობით სამეწარმეო კონცეფციის სახეს შეიძენს. საბოლოოდ, კარგი იდეა, შესაძლოა, იმდენად მარტივი აღმოჩნდეს, რამდენადაც მნიშვნელოვანი. მაგრამ, როგორც წესი, ამის მისაღწევად აზროვნების დაძაბვა გჭირდებათ, რათა საკვანძო საკითხები გამოიკვეთოს. „კონცეპტუალურ - შემოქმედებითი“ აზროვნება, საღ აზრთან ერთად, ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ბიზნეს ადმინისტრირების საგნების ღრმა ცოდნა. თქვენ არ გჭირდებათ, მაგისტრის ხარისხი ან გამორჩეული ნიჭი იმ კომპანიის შესაქმნელად, რომელიც დაამარცხებს ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ კონკურენტებს. ამის დასადასტურებლად გ. ფალტინი წარმოგვიდგენს კომპონენტების არსებობისა და იქ შრომის დანაწილების პრინციპებს. ის მიიჩნევს, რომ ეკონომიკურად განმსაზღვრელია რაციონალური ქცევა; ფუნქცია და არა ტრადიცია; შესაძლებელია სამეწარმეო წამოწყება ფულის გარეშეც, რადგან გონივრული იდეა მრავალ შესაძლებლობას გვაძლევს; მისი აზრით, გადამწყვეტია შემოქმედებითი იდეა, და არა მაღალი ტექნოლოგიები. მას მიაჩნია, რომ წარმატებული საწარმოების შესაქმნელად აუცილებელია საკუთარი კონცეფციის ჩამოყალიბება, ბიზნესის კომპონენტებით შენება, ინდივიდუალურობა და არა ანონიმურობა, უპირატესობის მინიჭება კონცეფციის და არა რესურსებისთვის. დაემშვიდობეთ ძველი ტიპის აზროვნებას, ნუ დასახავთ სამომავლო გეგმებს წარსულზე

დაყრდნობით. ასე რომ, სამეწარმეო საქმიანობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იდეის მოფიქრება და მისი დამუშავებაა, მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდება სრულყოფილი კონცეფცია. შემდეგი საფეხური იმ უკვე არსებული პროფესიონალური კომპონენტების პოვნაა, რომელთა დახმარებითაც შეგიძლიათ თქვენი იდეის ხორცშესხმა ყველა მისი მხატვრული დეტალის გათვალისწინებით. გადამწყვეტი ფაქტორი იდეის ხარისხია. გ.ფალტინი გვირჩევს: „თუ გსურს რაიმე საინტერესო და რევოლუციურის შექმნა, ისწავლე შენი მომხმარებლის უგულებელყოფა, რადგან მათი უმრავლესობის ფუნქცია ძალიან გავს იმ სარკეს, რომელიც უკვე გამოვლილ გზას აირეკლავს, თანაც, მეტად კონსერვატიული, მოსაწყენი და ფანტაზიას მოკლებულია. ხშირად ბევრმა მათგანმა თვითონ არ იცის, რა სურს“. ასე რომ, ნამდვილი აღმოჩენა არა უცნობი ტერიტორიების მიგნება, არამედ საგნებისა და მოვლენების ახლებურად დანახვაა. სამეწარმეო პროექტის შემუშავების პროცესი მუსიკალური ნაწარმოების შექმნას გავს. ის მანამ გრძელდება, სანამ ყველაფერი ერთმანეთს ჰარმონიულად არ შეერწყმება. სამეწარმეო პროექტის შემუშავებაში გ.ფალტინი 7 მეთოდს გულისხმობს:

1. აღმოაჩინე პოტენციალი უკვე არსებულში;
2. ფუნქცია და არა ტრადიცია;
3. არსებულის ახლებურად კომბინირება;
4. ერთზე მეტი ფუნქციის შესრულება;
5. პრობლემების, როგორც შესაძლებლობების დანახვა;
6. საქმის მხიარულებად და გართობად გადაქცევა;
7. ოცნების რეალობად ქცევა;

ჩვენ შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ მეწარმე, როგორც კომპოზიტორი, რომელიც დაისახავს მიზანს და რომელმაც იცის, როგორ გამოიყენოს ინსტრუმენტები. აქამდე იშვიათად შევხვედრივართ ასეთ „მეწარმე-კომპოზიტორებს“. თუმცა, ეს საწარმოს შექმნის უმარტივესი გზაა - თავიდანვე პროფესიონალური კომპონენტები. „იმიტომ ავირჩიე კომპოზიტორის ანალოგია“, - აღნიშნავს გ.ფალტინი, - „რომ ხშირად წარმატებული

მეწარმეები არ იგონებენ რაიმე ახალს, არამედ უბრალოდ იღებენ უკვე არსებულს და სხვაგვარად აწყობენ მას, ანუ ისინი არსებული კომპონენტების აწყობით ქმნიან რაღაც ახალს“. ინოვაცია, მეტწილად, იქმნება იქ, სადაც რადიკალურად უპირისპირდებიან დაწესებულ პრაქტიკას. გ.ფალტინი გვთავაზობს გამოვიყენოთ ტერმინი „მეწარმეობა“, რათა ყურადღება გავამახვილოთ ახალი ბიზნესის დაფუძნების შემოქმედებით, ინოვაციურ კომპონენტებზე, განსხვავებით „ბიზნესის ადმინისტრირებისაგან“, რომელიც ბიზნესის მხოლოდ ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ასპექტებს გულისხმობს. ფალტინის მიზანია, მეწარმეობის სფეროს სხვაგვარად შევხედოთ, არა მხოლოდ თეორიულად არამედ პრაქტიკულადაც. ეს ეკონომიკური თვითრეალიზაციის პირობაა, რომელსაც განათლება უზრუნველყოფს: არ მივანდოთ ეკონომიკა მხოლოდ ეკონომისტებს! გადავაქციოთ „მოსაწყენი მეცნიერება“ სასიამოვნო საქმიანობად! წავახალისოთ ხალხი, მიიღონ მასში მონაწილეობა. გამდიდრება სასიამოვნოა, მაგრამ, საბოლოოდ, აზრს მოკლებული თუ ის არ აუმჯობესებს რაიმეს. ფალტინის იდეალი არც კომპანიაა, არც კაცი თუ ქალი, არც ადამიანი, რომელიც აგროვებს სიმდიდრეს იმიტომ, რომ გამდიდრდეს; მისი იდეალია ხელოვანი, შემოქმედი, მეამბოხე, რომელიც უპირისპირდება ტრადიციებს და ცდილობს, იცხოვროს მდიდრულად და საინტერესოდ. ასეთი მიდგომა აცოცხლებს კავშირს, ბიზნესსა და სიამოვნებას, სამუშაოსა და ცხოვრებას, შოვნასა და ხარჯვას შორის. ფალტინი მოგვიწოდებს, ჩვენი ცხოვრების მეწარმეები გავხდეთ, ვიყოთ მიზანდასახული რაციონალური, ვნებითა და პასუხისმგებლობით აღსავსენი. ეს როდია ექსტრემალური სპორტი, რომელიც რამდენიმე ფანატიკურად განწყობილ ადამიანს აერთიანებს, მზად რომ არიან ჩვენთვის - მორიდებული და მშიშარა ადამიანებისთვის უჩვეულოდ გარისკონ. მაშინ, როდესაც მეწარმეობის ბევრი მასწავლებელი მხარს უჭერს გარისკვას  და (შესაძლებლობის ამოცნობას), გ.ფალტინის სურვილია რისკის შემცირება და სწრაფი შესაძლებლობების ცდუნების თავის არიდება. ამდენად გ.ფალტინის მიხედვით, არსებობს სამი საფეხური, რომლებითაც ჩვენ შეგვიძლია რადიკალურად შევცვალოთ სამეწარმეო ლანდშაფტი. ფაქტობრივად ეს მხოლოდ მენტალური საფეხურებია, პრობლემის ახალი კუთხით დანახვა, რაც საშუალებას გვაძლევს, ბიზნესის დაწყების საკითხს სრულიად სხვა კუთხით

მივუდგეთ. პირველი ნაბიჯია, ვაღიაროთ, რომ დღეს კარგი კონცეფცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კაპიტალი; მეორე - მეწარმეობის სფეროში უფრო რადიკალურად გამოვიყენოთ შრომის დანაწილების პრინციპი; მესამე- დავაფუძნოთ კომპონენტებისგან შემდგარი კომპანია. შრომის დანაწილება და სოციალიზაცია საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ კომპანია, რომელიც თითქმის მხოლოდ კომპონენტებისგან იქნება ფორმირებული. ახლად დაფუძნებული ასეთი კომპანია პირველივე დღიდან პროფესიონალურად ფუნქციონირებს, მოითხოვს ბევრად უფრო ნაკლებ კაპიტალს, ამცირებს რისკს და ნაკლებად მგრძნობიარეა ტიპური კრიზისის მიმართ, რომელიც მოსალოდნელია კომპანიის ზრდასთან ერთად. კონცეფციისგან კომპანიის შექმნა აღადგენს ბაზარს, როგორც იდეების კონკურენციის ადგილს და ხელახლა აღმოაჩენს ეკონომიკას, როგორც ულამაზეს ხელოვნებას ხელოვნებათა შორის, რომელიც შეესაბამება დროს, ადგილს, ადამიანთა სურვილს და გვისახავს მდგრად და გამძლე ეკონომიკურ პერსპექტივებს. ის საზოგადოებისთვისაც სასარგებლოა, რადგან ყურადღებას იქცევს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი ფასის მქონე პროდუქტით. ეს გზა, რომელიც ხელს უწყობს სიმდიდრის სამართლიანი განაწილების დამკვიდრებას სამეწარმეო საქმიანობაში უფრო ფართო მონაწილეობის საშუალებით. დღეს „მეწარმეობა ყველასთვის“ ჯერ კიდევ ოცნებაა, მაგრამ ის ოცნება, რომელიც ხელთ გვიპყრია. თანამედროვე სამყაროში მეწარმეობის განვითარება სულ უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდება რაც ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალიზაციის ძირითადი დამსახურებაა, მოხსნილია ბევრი ბარიერი და არის მეტად ბევრი შესაძლებლობა ვიდრე „გუშინ“. გ.ფალტინი თავის წიგნში „გონება ამარცხებს კაპიტალს“ გამოყოფს კომპონენტებზე დაყრდნობილ სამეწარმეო განვითარებას და მეწარმეს კომპოზიტორს ადარებს. ფალტინის მიხედვით კომპოზიტორი არ სწავლობს ყველა ინსტრუმენტზე დაკვრას ისევე როგორც დღეს გემის კაპიტანი არ არის მემანქანე, პროგრამისტი და ნავიგაციის ექსპერტი - ერთდროულად. აქ მნიშვნელოვანია ინსტრუმენტების ზოგადი ფლობა, რათა შევძლოთ არა თითოეული ინსტრუმენტის ოსტატური გამოყენება, არმედ მათი საშუალებით, ახალი კომბინაციების აწყობა და ინდივიდუალური ინსტრუმენტების დარეგულირება-კოორდინირება. როგორც უკვე

აღვნიშნეთ მეწარმე შეიძლება კომპოზიტორს შევადაროთ, რომელიც დასახავს მიზანს და რომელსაც ესმის, როგორ გამოიყენოს თვისი ინსტრუმენტები. კომპოზიტორი მეწარმეს იმიტომ შეიძლება შევადაროთ, რომ ხშირად წარმატებული მეწარმე არ იგონებს რაიმე სრულიად ახალს, არამედ უბრალოდ იღებს უკვე არსებულს და გარდაქმნიან მას რითაც არსებული კომპონენტებით ქმნიან სიახლეებს. Yahoo, Skype, WhatsApp და ბევრი სხვა თანამედროვე კომპანიის დამფუძნებლებმა აჩვენეს ეს ციფრული ტექნოლოგიების სექტორში. „სკაიპის“ მსგავსი საკომუნიკაციო საშუალებები იყენებენ სტანდარტულ ტექნოლოგიას, რომელიც მრავალი წელია რაც ცნობილია, რითაც კონკურენციას უწევენ დიდ სატელეკომუნიკაციო კომპანიებს და, იმავდროულად მათთან შედარებით გაცილებით იაფად და ბევრად გაზრდილი შესაძლებლობებით. კომპანიის ინოვაცია ახალი პროდუქტის განვითრებით კი არ გამოვლინდა, არამედ მომხმარებლისადმი ახალი, მეგობრული და გაუმჯობესებული ინტერფეისი შექმნით. ახალი ტექნოლოგიური მიმდინარეობის სტანდარტებით თუ გავზომავთ, ეს შედარებით მწირი, წარმოუდგენლად დიდი ეკონომიკური შედეგის მომტანი მიღწევაა. თანამედროვე ციფრული კომპანიები იმის ნათელი მაგალითია თუ როგორ შეუძლია დამწყები საწარმოს შემოქმედებით კონცეფციას, შეარყიოს ყველა აქამდე არსებული ღირებულების შექმნის კონცეფცია. ხშირ შემთხვევაში საჭიროა კომფორტის ზონის გარეთ გასვლა და უარის თქმა ნაცნობ მიმართულებებზე. რად ინოვაცია და ახალი შესაძლებლობები ზუსტად რომ ჩვენი კომფორტის ზონისა გარეთ მოიპოვება და ჯერ შეუცნობ სფეროშია მიმოფანტული. მეწარმეობის კლასიკური თეორია ამბობს, რომ კომპანია მატერიალური ერთეულია, რომლიც შედგება შენობების, თანამშრომლებისა და სამუშაო ადგილებისაგან. იგი აწარმოებს პროდუქტებს ან გვთავაზობს მომსახურებას ეს კი მოითოვს ორგანიზებადა და მენეჯმენტს. მსჯელობის გაგრძელებისთვის მოდით ცოტახნით გვერდზე გადავდოთ კომპანიის ეს განსაზღვრება და კომერციული საქმიანობის დაწყებას საკმაოდ განსხვავებულად მივუდგეთ. ამ შემთხვევაში დაისმის კითხვა „რა ახალი სუბიექტის შემქნა შეგვიძლია უკვე არსებული მრავალი

კომპონენტისგან?“[62]. სჭირდება კი ამ ახალ წამოწყებას შენობა, თანამშრომლები ან კიდევ დამატებით კიდევ სხვა რესურსები? რა თქმა უნდა თავიდან ყველა ეს კითხვა პასუხგაუცემელი რჩება, რადგან ძირითადი სამუშაო მეწარმის თავში ხორციელდება. აქ გადამწყვეტია ახალი კომბინაციებისა და უფრო ეფექტიანი პროცესების აღმოჩენა. როგორც გ.ფალტინი აღნიშნავს ეკონომისტებმა შეიძლება აირჩიონ ამ პარადიგმის ცვლილების ახსნა ტრანზაქციული დანახარჯების თეორიის საშუალებით. წინარე პერიოდში ტრანზაქციების მაღალი ღირებულების გამო უმეტესი საქმიანობა კომპანიის ფარგლებში იყო მოქცეული. თუმცა დღეს, სპეციალიზაციის მაღალი დონის, დაბალ ხარჯიანი და ეფექტური კომუნიკაციების შედეგად, მეწარმეს შეუძლია ისარგებლოს კომპანიის გარეთ უკვე არსებული კომპონენტებით, ეგრეთ წოდებული აუთსორსით (Outsource). ასეთი განლაგებით კომპანიის შექმნა დაკავშირებულია ინტელექტუალურ მოხერხებულობასთან, რაც გულისხმობს იმას, რომ გარე კომპონენტების მორგება ხდება მეწარმის კონცეფციაზე. ამ ყოველივეს გათვალისწინებით მენეჯმენტს მხოლოდ ამ კომპონენტების კოორდინირება და ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანაა. ყოველგვარი აბსტრაქტულობა  და წარმოდგენა რომ გადავდოთ გვერდით, დღეს, განვითარებული ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ პირობებში, ეს ყოველივე შესაძლებელია და ვირტუალური კომპანიის შესახებ ფიქრი სულ უფრო მკაფიო კონტურებს იძენს. წინარე პერიოდში შეკითხვა კომპანიის დაფუძნებამდე შეკითხვა შემდეგნაირად ჟღერდა: „რა არის საჭირო კომპანიის დაფუძნებისა და მისი წარმატებით ორგანიზებისათვის?“ დღეს კი ჩნდება ახალი კითხვა: „რა სიახლე შემიძლია შევქმნა უკვე არსებული მოდელებისგან?“.  კონცეფციაზე დაფუძნებული ხედვა უტოლდება ტრადიციასთან მუდმივ დისტანცირებას, ცვლილებას მასში, ბიზნესის განხილვასთან მიმართებით. დღემდე ყურადღება კონცენტრირებული იყო რესურსებზე. რა ოდენობის კაპიტალს განკარგავდა კომპანია. რა საწარმოოო აღჭურვილობასა და მანქანა-დანადგარებს ფლობდა? ტერმინი ადამიანი-კაპიტალი მიუთითებს, თუ რამდენად იყო კაპიტალი ანალიზის საწყისი წერტილი. ადამიანებიც კი განიხილებოდნენ როგორც კაპიტალი და

[62] გ. ფალტინი, გონება ამარცხებს კაპიტალს, თბილისი 2014

რესურსი. ადამიანი - კაპიტალი, უბრალოდ იყო კაპიტალის განზომილება, რომელიც საჭიროა ბიზნესის მუშაობისთვის. ამ ყოველივეს ეწოდება ფირმის რესურსებზე დაფუძნებული ხედვა. მაგრამ დროთა განმავლობაში ბალანსმა გადაინაცვლა. დღესდღეობით შეგვიძლია ბიზნესი ტრადიციული რესურსების გარეშე დავიწყეთ. ახლა მეტწილად, ყველაზე მნიშვნელოვანია  იდეების ჯამი და მათი რეალიზაცია. დღეს შეგვიძლია განვიხილოთ კომპანიები როგორც იდეის პროდუქტი და მას კონცეფციაზე დაფუძნებული ხედვა ვუწოდოთ. წარსულში მასშტაბით განპირობებული ეკონომიით გამოხატული კომპანიის ზომა გადამწყვეტი უპირატესობა იყო ხოლო დღეს კი მსხვილი კომპანიების მდგომარეობა ერთ დღეში მძიმდება რადგან ზედმეტად ეყრდნობიან საკუთარ რესურსებს, მათ კაპიტალიზაციასა და საბაზრო პოზიციას.[63]

თუ გადავხედავთ წარსულსა და აწმყოს დავინახავთ რომ დიდი კომპანიების უმეტესობა პატარა იდეით დაიწყო.

*მას შემდეგ რაც კომპანია გაიზრდება, მის უკან დიდი იდეები იჩენენ თავს? თუ მსხვილი ორგანიზაციები, გაზრდილი ბიუროკრატიით, როგორც წესი, ახალ იდეებს ავიწროებენ? იქნებ დიდი ზომა და ორიგინალურობა შეუთავსებელია? მსხვილი ორგანიზაციები ნაკლებ მეგობრულნი არიან თანამშრომლების არატრადიციული, უჩვეულო და არაორთოდოქსული იდეების მიმართ, ვიდრე ახალგაზრდა ორგანიზაციები? კორპორაციული მეწარმეობისკენ მოწოდება, რაც კომპანიის შიგნით  მეტი სამეწარმეო ინიციატივის მოთხოვნას ნიშნავს, შეიძლება თავისთავად კომპანიის ბიუროკრატიზაციისაკენ სვლას ნიშნავდეს, რასაც მოსდევს კომპანიის ზრდა? ეს ნიშნავს არა იმას, რომ რესურსები არ არის მნიშვნელოვანი, არამედ მიუთითებს, რომ ისინი ნაკლებმნიშვნელოვანია ხდება. მიდგომა, რომელიც მხოლოდ რესურსებს ანიჭებს*

[63] გ. ფალტინი, გონება ამარცხებს კაპიტალს, თბილისი 2014, გვერდი 117

*განსაკუთრებულ უპირატესობას, რეალურ შესაძლებლობებს უშვებს ხელიდან. რესურსებთან ერთად, ჩვენ გვჭირდება იდეაზე დაფუძნებული ხედვაც.*[64]

კომპონენტებისაგან შედგენილი დამწყები საწარმოს მაგალითად შეგვიძლია გამოვიყენოთ კომპანია Redbull-ის მაგალითი დიაგრამა აჩვენებს კომპანიის კომპონენტებს, რომლებიც მას სრულფასოვნად ოპერირებაში ეხმარებიან. დიაგრამას თანმიმდევრულად თუ მივყვებით დავინახავთ, რომ ენერგეტიკული გამაგრილებელი სასმლის კონცენტრატი მზადდება ცალკეული კომპანიის მიერ, ჩამოსხმა და დაფასოება მეორე კომპანიის მიერ, ხოლო სხვა დანარჩენი პროცესებიც, რომელიც აქამდე კლასიკურ მოდელში კომპანიის შიგნით იყო თავმოყრილი ამ შემთხვევაში გატანილია აუთსორსზე.

*დიაგრამა 3-2. საწარმოს კომპონენტური სქემა*




[64] გ. ფალტინი, გონება ამარცხებს კაპიტალს, თბილისი 2014, გვერდი 118

აქ გამოხატული ყველა კომპონენტი შემოთავაზებულია მაღალი სპეციალიზაციის მქონე პროფესიონალი მიმწოდებლების მიერ. ამგვარი წყობის მოდელში დამფუძნებლის საქმე მოიცავს:

1) კონცეფციის შექმნა რომელიც რომელიც კომპონენტების გაერთიანების შესაძლებლობას იძლება;
2) ისეთი პარტნიორების მოძიება, რომელიც მაღალი სპეციალიზაციითა და პროფესიონალურ დონეზე სთავაზობენ ამ კომპონენტებს;
3) ამ კომპონენტების ურთიერთობის კოორდინირებასა და კონტროლს.

კომპონენტებით კომპანიის დაფუძნება:

4) მეწარმის მხრიდან თითქმის არანაირი ინვესტიცია არ არის საჭირო
5) თითქმის არ არის მუდმივი ხარჯები
6) ცვალებადი ხარჯები მოდის მხოლოდ რეალურ გაყიდვაზე
7) ხარჯების დიდი დანაზოგი, ბაზარზე დამკვიდრებული კონკურენტებისგან განსხვავებით
8) დაარსებიდანვე პროფესიონალური, მაღალეფექტიანი, ვირტუალური და გლობალური

ფუნქციონირების დაწყებისთანავე საწარმოს ოპერაციები თავიდანვე მაღალ პროფესიულ დონეზე ფუნქციონირებს. როგორც წესი, ცვალებადი ხარჯები წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რეალური შეკვეთების მიღება ხდება. საწარმოს არ აქვს მსხვილი ადმინისტრაციული აპარატი, რომელიც უნდა მოეწყოს და დაფინანსდეს. ამის ნაცვლად საწარმოს ფუნქციონირება თავიდანვე მაღალი პროფესიონალიზმითა და მაღალეფექტიანობით გამოირჩევა, რადგან საწარმოს კომპონენტები მოწოდებულია გამოცდილი პარტნიორების მიერ, რომელთაც უკვე მიაღწიეს მასშტაბით განპირობებულ ეკონომიას. პროფესიონალური მხარდაჭერა სრულიად აუცილებელია დამფუძნებლებისთვის. წარმატებული დამწყები საწარმოების კვლევები კვლავ და კვლავ გვიჩვენებენ, რამდენად მნიშვნელოვანია  როლების განაწილება წამყვან მეწარმესა და პროფესიონალური მენეჯმენტის გუნდს შორის. დამფუძნებელს, როგორც წამყვან მეწარმეს,

უნდა შეეძლოს კონცეფციასა და მის შემდგომ განვითარებაზე სრული კონცენტრირება მაშინ, როდესაც მენეჯმენტმა უნდა ითავოს ყოველდღიური ბიზნესოპერაციები. თუ დამფუძნებელს არ ძალუძს ასეთი ტიპის პროფესიონალური მხარდაჭერის მიღება, მისი დამწყები საწარმოს კონცეფცია შეიძლება განუხორციელები დარჩეს. ეს აუცილებლად არ გულისხმობს იმას, რომ თქვენ დამწყები საწარმოსათვის დიდი კაპიტალი გჭირდებათ. „განხორციელებადი“ ნიშნავს, რომ კონცეფცია გამოირჩევა იოლად განსაზღვრებადი საბაზრო უპირატესობებით, რომლებიც საშუალებას მისცემს ბიზნესს, მომხმარებლები მოიზიდოს და შექმნას შემოსავალი, რომელიც დაჭირდება პროფესიონალური თანამშრომლების დაქირავებას. ნებისმიერს, ვისაც სჯერა, რომ მას პროფესიონალების დაქირავების საშუალება არ აქვს, უნდა სცადოს ეს „არაპროფესიონალების“ დახმარებით.

## 3.3. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები.

იმ შემთხვევაში თუ ვუგულებელვყოფთ სამთავრობო პოლიტიკის მოკლევადიანი ხედვას მცირე და საშუალი ბიზნესის ფორმირებაზე და ამასთანავე დავეყრდნობით ევროკავშირის მიდგომას შეგვიძლია ორ ძირითად მიმართულებად დავყოთ. პირველია ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება სამეწარმეო აზროვნების განწყობისა და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ, აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზადყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. გარდა ამისა აქვე აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი ცოდნის მიღებისა და ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერა. სამეწარმეო აზროვნების მქონე ინდივიდთა მიწოდების უზრუნველყოფის შემდგომ, ჩვენ შეგვიძლია მათი მიზნების ადეკვატური საქმიანობის მხარდაჭერის პოლიტიკის განხორციელება. ასეთი პოლიტიკა გულისხმობს სამეწარმეო კულტურისა და უნარ-ჩვევათა განვითარებისადმი მოქნილ მიდგომას. ეს შეიძლება რთული აღმოჩნდეს იმ ქვეყნებისადმი, რომელთა კულტურა განწყობით ანტისამეწარმეოა, სადაც მეწარმე უფრო მეტად

გარიყულია საზოგადოებაში, ვიდრე არის აღიარებული გმირი. სამეწარმეო აზროვნების ხარისხისა და კულტურის ამაღლების მიზნით სასურველია საგანმანათლებლო, სისტემაში ჩარევა და სამეწარმეო განათლების ინიციატივების დანერგვა. ამგვარად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ სამეწარმეო უნარისა და პოტენციალის ამაღლების პოლიტიკის განხორციელების მიმართულებები:

- სამეწარმეო კულტურის შექმნა;
- საგანმანათლებლო მხარდაჭერა;
- მეწარმეობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების მხარდაჭერა;
- მენტორული ინიციატივების მხარდაჭერა;
- განათლება და სიცოცხლის მანძილზე სწავლება;
- სამუშაო ძალის მოქნილობა და იმიგრანტთა დასაქმება;
- მაღალი ტექნოლოგიების ცოდნის შექმნა და მხარდაჭერა;
- კაპიტალის ხელმისაწვდომობა;
- სამეცნიერო კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერა;
- საავტორო უფლებებისა და პატენტების დაცვა.

აღნიშნული პოლიტიკის მიმართულებები ერთდროულად და გრძელვადიანი პერიოდით არასდროს ყოფილა აპრობირებული და ამის გამო, რთულია მათი შეფასება. საამისოდ საჭიროა ვალდებულებებისა და მტკიცე მუშაობის ათწლეულები მეწარმეობისადმი განწყობისა და საგანმანათლებლო ცვლილებების განსახორციელებლად. თუმცა ყოველწლიური საინფორმაციო გამოშვების მოკლედ მიმოხილვაში (GEM) ნაჩვენებია, რომ ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე პოლიტიკის ეს მიმართულება მნიშვნელოვანია ეკონომიკის ზრდისთვის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანებისადმი მატება მოიცავს მრავალმხრივ მიდგომას ფირმების ამოქმედებისათვის სასურველი გარემოს შესაქმნელად. ეს ახალი პროდუქტის მისაღებად მიწის კულტივირების პროცესის მსგავსია. მეწარმეობისათვის სასურველი გარემოს

ფორმირებითა და მომავალი მეწარმეობის რიცხოვნების გაზრდის შემდგომ ჩვენ შეგვიძლია, განვახორციელოთ ამ ადამიანთა მხარდაჭერის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა იზიარებს მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნებს, რომელიც წინასწარაა მოცემული. თუმცა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკას შეუძლია ძალიან ცოტა, თუკი ჩვენ არ გვაქვს სამეწარმეო კულტურის პოტენციალი რომ ის კარგად იქნეს გამოყენებული. ამგვარად ჩვენ შეგვიძლია გვქონდეს პოლიტიკა თითოეული მიზნისათვის:

- რისკის შემცირება:
  - საგადასახადო შეღავათები;
  - ახალი ფირმების ფინანსური მხარდაჭერა;
  - სესხის სა გარანტიო სქემები;
  - მაკროეკონომიკური სტაბილურობა;
  - საკონსულტაციო სქემების მხარდაჭერა;
  - სამეწარმეო პოტენციალის ზრდა;
- სამეწარმეო პოტენციალის ზრდა:
  - კლასტერებში გაწევრიანება;
  - ექსპორტის მხარდაჭერა;
  - ბიუროკრატიული ხარჯებისა და დაწესებული განაკვეთების შემცირება;
  - პრივატიზაცია და სახელმწიფო მონოპოლიების დარეგულირება;
  - კონკურენცია;
  - ჩარევა საბაზრო დეფიციტების აღმოსაფხვრელად;
  - რეგიონული პოლიტიკა და სამუშაო ძალით მდგარდი უზრუნველყოფა;
  - მრჩეველთა სქემების მხარდაჭერა;
  - სიცოცხლის მანძილზე სწავლება და პერსონალური განვითარება;
  - ბიზნესის გავშრი საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან.

აღნიშნულის ფარგლებში არის პოლიტიკის სხვა სპექტრი, როგორიცაა სიახლეების სფეროები, საქმიანი კავშირები, ტექნოპარკები და სხვა, რომელიც გამოყენებული იქნა რამდენიმე ქვეყანაში. ეს ჩამონათვალი შეიძლება ჩავთვალოთ როგორც მთლიანი პოლიტიკის შემადგენელი ქვეპროდუქტები. არ არსებობს პოლიტიკის ინიციატივების მოკლედ შეფასება, თუმცა ზოგიერთმა მოკვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის არსებობა საზოგადოებაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლების გარეშე აუცილებლად იქნება მოკლევადიანი. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი სამთავრობო პოლიტიკის კრიტიკის დროს დ.ჯ. სთორი (2000) აღნიშნავს, რომ ესაა უნიკალური შესაძლებლობ გაიზარდოს მთავრობის მომხრე ამომრჩეველთა რიცხოვნობა. საზოგადოდ, ყველა დემოკრატიულ სისტემაში ეს ძირითადი ჭეშმარიტებაა. იგი არ არის ნეგატიური ელემენტი მანამ, ვიდრე არ იქნება გამოყენებული ავადმყოფი ეკონომიკის მხოლოდ გარეგნული, ფასადური შენიღბვის მიზნით.[65]

დ.ჯ სთორმა ჩამოაყალიბა მცირ და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის შუალედური და საბოლოო მიზნები:

*ცხრილი 3-6. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი პოლიტიკის შუალედური და საბოლოო მიზნები.*

| | შუალედური | საბოლოო |
|---|---|---|
| 1 | დასაქმების ამაღლება | დასაქმების ამაღლება<br>უმუშევრობის შემცირება |
| 2 | დამწყებთა რიცხოვნობის გაზრდა | დამწყებთა რიცხოვნობის გაზრდა<br>ფირმების რიცხვის გაზრდა |

[65] ჯ. ჰასიდი, ა. კომსელისი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნცვალაძე, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, თბ. 2009, ნაწილი I-II, გვ. 141

| | | |
|---|---|---|
| 3 | კონსულტანტების გამოყენების სტიმულირება | კონსულტანტების გამოყენების სტიმულირება<br>ფირმების სწრაფი გაზრდა |
| 4 | კონკურენციის გაზრდა | კონკურენციის გაზრდა<br>კეთილდღეობის ამაღლება |
| 5 | ბაზრის ეფექტიანობის ამაღლება | აზრის ეფექტიანობის ამაღლება<br>კეთილდღეობის ამაღლება |
| 6 | ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა | ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა |
| 7 | კეთილდღეობის ამაღლება | მხარდამჭერთა ხმები არჩევნებში |

ამ ცხრილის საშუალებით შეგვიძლია დავინახოთ, რომ მთავრობები იყენებენ ამ პოლიტიკის მიმართულებებს, საიმისოდ, რომ მიაღწიონ სოციალური უზრუნველყოფის ზრდას ინდივიდთა პირადი კეთილდღეობის ამაღლების გზით. პირადი კეთილდღეობის ამაღლება, ერთის მხრივ, იწვევს მომხმარებელთა მსყიდველობითი უნარის ამაღლებას და შემდგომში ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, ხოლო მეორეს მხრივ წარმატებული პოლიტიკის წარმართვისათვის აჯილდოებს მთავრობას ხელახალი არჩევით. ამ მაგალითით შეგვიძლია შევიცნოთ ცოდნაზე დაფუძნებული მეწარმეობის მიზნები, როგორიცაა ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა და ზრდის პოტენციალი. აღნიშნული ცხრილი ასევე ასახავს იმ პოლიტიკის მიმართულებებს, რომელსაც იყენებს ევროკავშირი. მას თავის მხრივ აქვს კონკურენციის, საწარმოო ჯაჭვის გაძლიერების და დასაქმების ხელშემწყობის მიზნები. თუმცა ბოლო წლებში ევროკავშირი ნერგავს პოლიტიკას, რომელიც უფრო მეტად მიმართულია სიცოცხლისუნარიან სამეწარმეო რისკზე, ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნაზე, ეს პოლიტიკა „ცოდნის

საზოგადოებრივი დოგმის“ ნაწილია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პოლიტიკაზე. თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიკაში ეფექტიანად ფუნქციონირებადი კლასტერების აგებას. აქედან გამომდინარე საქართველოშიც მნიშვნელოვანია რომ სწრაფად დაიწყოს ფიქრი ამ საკითხებზე თუ რა არის კლასტერი. გამორჩეული ამერიკელი მეცნიერის მ. პორტერის ნაშრომში „ერების კონკურენციული უპირატესობები“ მოცემულია ეროვნული სახელმწიფო და ადგილობრივი კონკურენტუნარიანობის თეორია მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტში. მასში წამყვანი როლი ეთმობა კლასტერების თეორიას. მ. პორტერმა იმ 10 ქვეყანაში რომელთა ექსპორტი შეადგენდა მსოფლიო ექსპორტის 50%-ზე მეტს ჩაატარა ოთხწლიანი გამოკვლევა. მიღებული შედეგების შეჯამებისას მან დასკვნის სახით აღნიშნა, რომ „ყველაზე მნიშნველოვანი კონკურენციული უპირატესობები გლობალურ ეკონომიკაში ხშირად აღმოცენდება კლასტერის ნიადაგზე“. კლასტერი ქსელის ისეთი ფორმაა, რომელიც არის გეოგრაფიული რეგიონების ფარგლებში, სადაც ფირმებისა და ორგანიზაციების განლაგების სიახლოვე უზრუნველყოფს ერთობის გარკვეულ ფორმას და ამაღლებს ამ ურთიერთქმედების სიხშირესა და ძალას. კლასტერი ხელს უწყობს მწარმოებლურობის ამაღლებას არამარტო წარმოების ფაქტორების შეძენითა და გადაზიდვით არამედ ის უზრუნველყოფს ურთიერშევსება კლასტერის მონაწილეთა საქმიანობის სახეებს შორის. საზოგადოდ კლასტერის კონცეფცია იწვევს აზროვნების განსაკუთრებული ფორმის განვითარებას, მას შეუძლია პოლიტიკა წარმართოს მრავალი მიმართულებით, კერძოდ: მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებისაკენ, განათლებისა და პროფესიული მომზადებისაკენ, ექსპორტსა და უცხოურ ინვესტიციებთან თანამშრომლობისაკენ, რაც კარგადაა ნაჩვენები დიაგრამაზე.

*დიაგრამა 3-3.* კლასტერებისა და ეკონომიკური პოლიტიკის სქემა




ჩამოვაყალიბოთ ქვეყნის ეკონომიკის კლასტერების პრიზმაში ხედვის სხვა უპირატესობებიც. კერძოდ:

- კლასტერების კონცეფცია ეფუძნება ფირმებსა და რეგიონებს შორის კონკურენციის პროფესიის უფრო ფართო ხედვას, მწარმოებლურობის ზრდის საფუძველზე;
- კლასტერები კონკურენციულ ბრძოლაზე გავლენა ახდენენ სამი საშუალებით: 1. მასში შემავალი დარგებისა და ფირმების მწარმოებლურობის ამაღლებით; 2. ინოვაციებისადმი უნარის ამაღლებით; 3. ახალი ბიზნესის სტიმულირების საშუალებით.
- კლასტერები წარმოადგენენ მამოძრავებელ ძალას ექსპორტის გაზრდასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რაც დღეს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უზენაეს ამოცანას წარმაოდგენს.

- კლასტერების ფუნქციონირების გაუმჯობესებისაკენ მიმართულე სახელმწიფო და კერძო ინვესტიციებს ერთდროულად მრავალი ფირმისთვის მოაქვს წინსვლა, ინტერესდებიან ცნობილი ფირმები და მიმდინარეობს ერთგვარი საწარმოო ჯაჭვის შექმნა.
- კლასტერების მონაწილეთა უმრავლესობა ერთმანეთს არ უწევენ კონკურენციას უშუალოდ. უბრალოდ ისინი დარგის სხვადასხვა სეგმენტებს ემსახურებიან.
- ჯანმრთელ და სიცოცხლისუნარიან კლასტერში ფირმის საწყისი კრიტიკული მასა აძლიერებს თვითგაძლიერების პროცესს. გროვდება ინფორმაცია ადგილობრივ ინსტიტუტებში იწყება სპეციალური მომზადება, მიმდინარეობს კვლევები, ვითარდება ინფრასტრუქტურა და მუშავდება შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, ამასთან კლასტერი ხდება უფრო შესამჩნევი და იზრდება მისი პრესტიჟი.
- კლასტერების გადაკვეთა გვიჩვენებს მათი განვითარების ახალ იმპულსებს, რაც ამცირებს ბიზნესში შესვლის ბარიერებს.
- როგორც კი კლასტერი ჩამოყალიბდება ჯგუფში ყველა დარგებისადმი ურთიერთმხარდაჭერა აღმოცენდება.
- მწარმოებლები ან ინდივიდები ვისაც აქვს საკუთარი იდეა მიგრირებენ ზრდადი კლასტერის რეგიონში.
- კლასტერში შემავალ ფირმებს უფრო სწრაფად შეუძლიათ განსაზღვრონ სამომავლო მოთხოვნის ტენდენციები ვიდრე მათ მეტოქე, ცალკეულ ფირმებს.
- კლასტერების არსებობას შეუძლია შეამსუბუქოს ცვალებადი ეკონომიკურ პირობებზე ადგილობრივი ფირმების მორგების პროცესი, რაც უფრო მეტად ამცირებს ადგილობრივი ეკონომიკის რისკს.
- კლასტერის წევრებიდან გამომდინარე „სამოქალაქო ვალდებულების“ გრძნობა ფირმებს აიძულებს გაცდნენ ვიწრო კერძო მესაკუთრულ ინტერესებს, შედეგად კი ყალიბდება ეფექტიანი მესაკუთრე.

ნებისმიერი სოციალური გაერთიანება ფუნქციონირებს და ვითარდება სახელმწიფოს ფარგლებში. სახელმწიფო წარმოიშვა საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ

საფეხურზე, როდესაც მოხდა მოსახლეობის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, რედესაც მოსახლეობის სოციალურ ფენებად დაყოფა მოხდა და ჰომოეკონომიკური მისწრაფებები სულ უფრო გამძაფრდა. ასეთ დრო საჭირო გახდა ინსტიტუტი, რომელიც საზოგადოებაზე მაღლა დადგებოდა და მართვის სისტემებითა და გონივრული პოლიტიკით მოახდენდა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მოთხოვნილებების ჰარმონიზაციას.[66] სახელმწიფო არის ხელისუფლების ორგანიზებული ინსტიტუტი, რომელსაც გააჩნია მართვისა და იძულების მექანიზმები. ხელმძღვანელობს რა საზოგადოებას ხელისუფლება უზრუნველყოფს მის ინტეგრაციას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ.[67]

სახელმწიფოს არსებობს აუცილებელი პირობებია: სუვერენიტეტი, ტერიტორია, მოსახლეობა, დიპლომატიური აღიარება და შიდა ორგანიზაცია. ამ უკანასკნელში იგულისხმება, რომ ქვეყანა აუცილებლად უნდა ჰქონდეს გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა. მისი გამოხატულებაა ხელისუფლება, კერძოდ მთავრობა, რომელიც ახორციელებს მართვას და უზრუნველყოფს საკუთარი მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების დაცვას და ტერიტორიის უსაფრთხოებას. სახელმწიფო ქმედებებს, რომლებიც მიმართულია ბიზნეს ურთიერთობათა სტაბილიზაციისა და განვითარებისაკენ ეკონომიკური პოლიტიკა ეწოდება.[68]ეკონომიკური პოლიტიკის ცნება საკმაოდ რთული და ტევადია. ის გულისხმობს საზოგადოებაში ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე ზემოქმედებისათვის სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების ერთობლიობას. შეიძლება ითქვას სახელმწიფოს როლი ეკონომიკური მეცნიერების ყველაზე მეტად დამუშავებული სფეროა. მთავარი ეკონომიკური პრობლემის მიხედვით: ერთის მხრივ, ადამიანის მოთხოვნილებები არის უსაზღვრო, მეროს მხრივ კი დედამიწაზე არსებული რესურსები შეზღუდული. აღნიშნული წინააღმდეგობის

---

[66] რ. ოთინაშვილი, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი 2010

[67] დათაშვილი ზ., ნაციონალიზნმი და გლობალიზაცია, თბ.2003.-445გვ.

[68] რ. ოთინაშვილი, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი 2010

გადასაწყვეტად კაცობრიობა მუდმივად ზრდის ეკონომიკური სიკეთეების წარმოებას, რამაც ეკონომიკურ ლიტერატურაში მიიღო ეკონომიკური ზრდის სახელი. ზრდისთვის აუცილებელია ეკონომიკური პოტენციალის შეფასება. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების განხილვამდე საჭიროა გავმიჯნოთ ორი მიდგომა: მცირე და საშუალო ბიზნესი და მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა. სხვაობა ამ ორ ერთის მხრიდ მსგავს მიდგომებს შორის ეკონომიკური განვითარების თეორიების საწყისებში უნდა ვეძებოთ. საუკუნეზე მეტია გასული იუსეფ შუმპეტერი ნაშრომის „ეკონომიკიკური განვითარების თეორიის“ პუბლიკაციიდან, რომელიც 1911 წელს გერმანულ ენაზე იქნა გამოცემული. მის ნაშრომში პირველად დაისვა საკითხი ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების ცნებების გამიჯვნის შესახებ. ეკონომიკური ზრდა-არის ერთი და იგივე საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების ზრდა ხოლო ეკონომიკური  განვითარება ინოვაციების წარმოჩინებას უკავშირდება. შუმპეტერის შეხედულებით ეკონომიკურ განვითარებაში უპირატესი ადგილი ინოვაციებსა და მეწარმეობას უჭირავს. იმისათვის რომ ჩამოვაყალიბოთ თეორიული მოსაზრებები რომელიც გამოიყენება მეწარმეობის სტიმულირების მიზნით მნიშნველოვანია ხაზი გავუსვათ იმას, რომ სამეწარმეო პოლიტიკა პრაქტიკაში უფრო მეტად არის ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესზე, ვიდრე მეწარმეობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მთავრობა ძირითად ყურადღებას უთმობს მცირე და საშუალო ბიზნესის შექმნასა და სიმყარის განმაპირობებელ ღონისძიებებზე, ვიდრე სიახლეებზე ან ცოდნაზე, რომელსაც ეყრდნობა მეწარმოება. რა თქმა უნდა არის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მხარს უჭერენ ასეთ ქმედებებს, მაგრამ საზოგადოდ, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას აქვს უფრო სწრაფი მოკლევადიანი შედეგები. გამომდინარე აქედან სახელმწიფო პოლიტიკა კრიტიკას იმსახურებს იმ კუთხით, რომ მთავრობები ხშირად მხარს უჭერენ მოკლევადიანი შედეგების მიღწევას, რასაც ხშირად პოლიტიკური ელფერი დაკრავს, ვიდრე გრძელვადიან ზრდასა და განვითარებას. საქართველოს მომავალი განვითარების, მათ შორის, ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები მოცემულია შემდეგ ძირითად დოკუმენტებში - „საქართველოს სოციალურ-

ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველოს 2020“ (2014 წელი) და სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“ (2015 წელი). ორივე დოკუმენტში ხაზგასმულია ძლიერი კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მნიშვნელობა. 2020 წლამდე საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები მოცემულია „საქართველო 2020“-ში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა 2014 წლის ივნისში. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ხედვა აგებულია შემდეგ პრინციპებზე: სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც ეფუძნება კონკურენტუნარიან კერძო სექტორს, ინკლუზიურ ზრდაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას და ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

„საქართველო 2020“-ში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ საქართველოს მომავალი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ეფუძნება ასოცირების შეთანხმებით და DCFTA-ით გათვალისწინებულ პოლიტიკის ღონისძიებებსა და ზომებს. „საქართველო 2020“ ეფუძნება კერძო სექტორის თავისუფლებას ეფექტიანი, გამჭვირვალე და ოპტიმალური მთავრობის პირობებში. სტრატეგიაში განსაზღვრულია როგორც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი მთავარი ფაქტორები, ასევე, შესაბამისი ჰორიზონტალური ღონისძიებები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ზრდა საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტია, ვინაიდან იგი წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის განვითარებას.

“საქართველო 2020“-ის სამი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება და შესაბამისი პოლიტიკის მიმართულებები:

| კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა | ადამიანური კაპიტალის განვითარება | ფინანსებზე ხელმისაწვდომობა |
|---|---|---|
| • საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ხელშეწყობა; ექსპორტის ხელშეწყობა; ინფრასტრუქტურის განვითარება და საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. | • შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება; სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა და ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. | • საინვესტიციო რესურსების მობილიზება და ფინანსური შუამავლობის განვითარების ხელშეწყობა. |

მსჯელობის პირველ ნაწილში ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის ზოგად მიმართულებებზე, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სტაბილური ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მიღწევის გზაზე. ამის გათვალისწინებით საჭიროა სტატისტიკურად გავამყაროთ და გამოვკვეთოთ სექტორული ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებები. იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პოლიტიკა იყოს ეფექტიანი, საჭიროა ითვალისწინებდეს შემდეგ მნიშვნელოვან პოსტულატებს:

- ეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს გათვლილი გრძელვადიან პერიოდზე
- ატარებდეს დარგობრივ ხასიათს
- გათვალისწინებული იყოს კლასტერული განვითარება
- ხელს უწყობდეს ჯანსაღ სავაჭრო ურთიერთობებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ

განვიხილოთ თითოეული მათგანი, რათა უკეთ ჩანდეს რა მნიშვნელოვანი საკითხები დგას აღნიშნული პოსტულატების მიღმა. გრძლევადიანი ეკონომიკური პოლიტიკა არის ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად ეფექტიანია და მომგებიანია საზოგადოებისთვის და

საერთო კეთილდღეობის ამაღლებისთვის. თუმცა, ასეთი პოლიტიკის გატარება ასე თუ ისე რთულია, რადგან ქვეყნის სათავეში მყოფი პირები, როგორც წესი, ცდილობენ მოკლევადიანი მიზნების განხორციელებას და საზოგადოების დიდი ნაწილისგან გულის მოგებას. ასეთი პოლიტიკა მართალია მოკლევადიან პერიოდში მომგებიანია, თუმცა არ აქვს დიდი შედეგი გრძელვადიან პერიოდში. დღეისათვის, ქვეყანას სჭირდება აღებული გეზის მნიშვნელოვნად ცვლილება. ამისათვის კი საჭიროა გადაწყვეტილების მიმღები ორგანოებისთვის, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა, ერთი ძირითადი სტრატეგია გახდეს მთავარი მამოძრავებელი ძალა. თუკი პარალელს გავავლებთ ლატვიასთან, აღნიშნული ქვეყნის მაგალიტზე სწორედ ასეთი მდგომარეობა იყო, სადაც პოლიტიკური პარტიები, ისევე როგორც საზოგადოების ცალკეული ჯგუფები იდეურად არ განსხვავდებოსნენ ერთმანეთისგან და გეზი ერთი მიმართულებით ეჭირათ - ღია ინდუსტრიალიზებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. მათ გაწიეს ძალიან დიდი ხარჯი, იმისათვის, რომ მიზნისთვის მიეღწიათ და პოლიტიკური პარტიების ხშირი ცვალებადობის მიუხედავად, ლატვიამ შეძლო და მიაღწია ქვეყნის უპირველეს მიზანს. სწორედ ამიტომ, ეკონომიკური მშენებლობის პროცესში, ქვეყნის კურსი უნდა იყოს ორიენტირებული გრძელვადიან განვითარებაზე. დარგობრივ ჭრილში მიზნებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია იქედან გამომდინარე, რომ დარგის უპირატესობები ქმნიან სწორედ წარმატებას საერთაშორისო ბაზარზე. ღია ეკონომიკის მომგებიანობა დარგობრივ დონეზე განიხილება. ესტონეთის მაგალითის მიხედვით, ქვეყანამ უარი განაცხადა დახმარებებზე და სანაცვლოდ, ითხოვდა მეტ საგარეო ვაჭრობას. ამ შემთხვევაში ქვეყნის მთავრობამ იცოდა, რომ ესტონეთს ჰქონდა სხვადასხვა დარგებში ისეთი პოტენციალი, რომ შეეძლო იგი გაეტანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ და მიეღო მნიშვნელოვანი მოცულობის მოგება. აღნიშნული უპირატესობა კი იყო ისეთი მასშტაბური, რომ ქვეყანა გამოეყვანა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებული ეკონომიკური კრიზისისგან. შესაბამისად, დარგებზე ორიენტირებულობა უნდა მოხდეს ერთიანი მიდგომით. თუკი თვალს გადავავლებთ ინვესტიციებს ეკონომიკური სექტორის მიხედვით, დავინახავთ რომ პირდაპირი უცოური ინვესტიციების მიხედვით 2018 წელს საფინანსო

სექტორი ლიდერობს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საფინანსო სექტორი დღეისათვის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სფეროა. შემდეგ მოდის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. ყველაზე მცირე ზომის ინვესტიციები ფიქსირდება სოფლის მეურნეობასა და ჯანდაცვაში. სექტორული ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში გარკვეული თანაფარდობით წახალისებას, რათა აღნიშნულმა სექტორებმა ერთმანეთს შეუწყონ ხელი და საბოლოოდ მივიღოთ გრძელვადიანი დადებითი ეფექტი. მაგალითად, საფინანსო სექტორის წარმატების პარალელურად, ეკონომიკის სხვა სექტორების ჩართულობა კიდევ უფრო გააძლიერებს და გაამყარებს ფინანსური სინსტიტუტების საქმიანობას. აღნიშნული კი ქვეყანას მისცემს კიდევ უფრო მეტ უკუგებას. მცირე და საშუალო მეწარმეობის წახალისება სწორედ რომ უკავშირდება სექტორულ დივერსიფიკაციას. ბიზნესის ძალაუფლება გადანაწილებული იქნება უამრავ მცირე საწარმოს შორის, რომელთა ერთობლიობაც გააძლიერებს აღნიშნულ დარგებს.

*დიაგრამა 3-4. პირდაპირი უცოური ინვესტიციები (წყარო: საქსტატი)*



კლასტერული განვითარება ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი სტრატეგიაა, რაც ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მამოძრავებელი ძალაა. კლასტერების განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკური სექტორების ერთიანობასა და სიძლიერე, რაც გამოიხატება იმაში, რომ შემცირდება ეკონომიკური დანაკარგები, დარგები ერთმანეთს მოამაგარებენ და შესაბამისად, გააძლიერებენ. კლასტერული მიდგომა ძლიერი სავაჭრო უპირატესობის წინაპირობაა. საგარეო ბაზარზე არსებობს რიგი პროდუქტებისა, რომლებიც კონკურენციას უწევენ ქართულ პროდუქტს. კლასტერული მიდგომა ხელს შეუწყობს ადგილობრივად პროდუქციის დანახარჯების შემცირებას, მასშტაბის ეკონომიას, იმპორტზე დამოკიდებულების შესუსტებას და ხარისხობრივ ზრდას, რაც საბოლოოდ გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას. მეღვინეობა-მევენახეობის კლასტერული განვითარების წყალობით, საქართველო საერთაშორისო ბაზარზე პოზიციონირებულია როგორც ღვინის ქვეყანა და ღვინის გაყიდვები ყოველწლიურად იზრდება. მევენახეობისა და მეღვინეობის დარგების შერწყმამ და ასევე, ამ დარგებში მოღვაწე სხვადასხვა მცირე თუ დიდი ზომის კომპანიების ენთუზიაზმმა განავითარა ეს სფერო, რაც ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია ტურიზმის სფეროში. სავაჭრო ურთიერთობების ფორმირება და აღმავლობა დამოკიდებულია ქვეყნების პროდუქციის ასორტიმენტსა და სავაჭრო უპირატესობებზე. თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი უპირატესობა, რაც მას უნიკალურს ხდის საერთაშორისო ბაზარზე. თუმცა აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. არსებობს რიგირ დარგებისა, რომელშიც უპირატესობის არსებობა არ არის მდგრადი განვითარების გარანტი. საქართველო მდიდარი ქვეყანაა ბუნებრივი რესურსებით, და ასევე გამორჩეულია კლიმატური პირობებით. თუმცა, საქართველოში არსებული წიაღისეული რესურსების უპირატესობით სარგებლობა საერთაშორისო ბაზარზე, არ გულისხმობს სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას და მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ხელსაყრელ გარემო-პირობებს. საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა და იმისათვის, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობამ ფეხი აიდგას, საჭიროა მივაღწიოთ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ასევე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია საგარეო ბაზარზე მაღალი ღირებულების მქონე პროდუქტების გატანა, რაც

მეტ სარგებელს მოუტანს ქვეყანას. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი გრძელვადიანი გეზის არსებობა, რაც უზრუნველყოფს ბიზნეს სექტორის არსებული ბუნებრივი გადანაწილებიდან მივაღწიოთ ეფექტიან გადანაწილებას. ამისათვის კი საჭიროა ქვეყნის მტკიცე ეკონომიკური პრიორიტეტების ფორმირება. თუკი პარალელს გავავლებთ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან, ვიპოვით ბევრ საერთო და ბევრ განმასხვავებელ ნიშანს. პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებმა თითქმის ერთიდაიგივე გზა გაიარეს კომუნისტური წყობილებიდან საბაზრო ეკონომიკამდე. ესტონეთი დღეს ტექნოლოგიური ქვეყაანაა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის ყველასე მაღალი მთიანი შიდა პროდუქტი აქვს ერთ სულ მოსახლეზე. მისგან განსხვავებით, საქართველო არ არის ტექნოლოგიური ქვეყანა, თუმცა ჩვენ უნდა ვეძებოთ ჩვენივე უპირატესობები და საჭიროებები, რომლის გადაწყვეტასაც მოვახდენთ ტექნოლოგიური გზით. აღნიშნული გზა უზრუნველყოფს სწორედ ეკონომიკურ განვითარებას და გარდაქმნას, რასაც ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ანუ, საქართველომ უნდა იპოვოს ის ძირითადი პრობლემები, რაც მას აფერხებს იყოს მოწინავე ევროპული ქვეყანა და აღნიშნული პრობლემატიკიდან გამომდინარე მოხდეს გადაწყვეტების ფორმულირება, რომელიც გადაიჭრება თანამედროვე ტექნოლოგიებით. ეს არის სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მთავარი პოსტულატი, რაც გრძელვადიან პერიოდში წარმატების გარანტია.

# დასკვნა

რა საკვირველია ყურადღებას უფრო დიდი კორპორაციები უფრო იპყრობენ, ვიდრე მცირე, თუნდაც საშუალო ფირმები. დიდი საწარმოებში ხომ ათასობით ადამიანია დასაქმებული და იწარმოება მილიონობით დოლარის ღირებულების პროდუქცია. მცირე საწარმოებში კი არც დასაქმებულთა რიცხვია დიდი და არც მათ მიერ შექმნილი პროდუქციის მოცულობა, რაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება საშუალო სიდიდის საწარმოებზეც განვაზოგადოთ. მიუხედავად ამისა ამ ზომის მრავალრიცხოვანი წარმონაქმენების გამართულ საქმიანობაზე დამოკიდებული ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის წინსვა. მცირე და საშუალო საწარმოების ერთ-ერთ დიდ უპირატესობას წამორადგენს, გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარი და ამიტომ ის ეკონომიკა, სადაც გადამწყვეტი ხვედრითი წილი აქვთ მცირე და საშუალო საქარმოებს, ხასიათდება დიდი დინამიურობითა და ელესტიურობით შიდა და გარე ფაქტორბეის მიმართ, ვიდრე დიდი საწარმოები. ასევე, ერთი და იგივე ზომის ეროვნული ეკონომიკის არსებობის პირობებში, რაც მეტია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების რაოდენობა, მით მისი დიდი ნაწილი წარმოადგენს ბაზრის და ხელშეკრულებების მეშვეობით დარეგულირებულს და მით ნაკლები ადგილი რჩება სხვადასხვა იერარქიული შეზღუდვებისა და აკრძალვებისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც მეტია მცირე და საშუალო ფირმები, მით მეტია ქვეყანაში მეწარმე და ნაკლები-ფუქნციონერი და ბიუროკრატი. ასევე აღსანიშნავია რომ სმგავსი ტიპის საწარმოების, ბევრად მტკიცედ იცავენ საფინანსო დისციპლინას. მათ ხომ დიდი საწარმოებისგან შედარებით ნაკლები შესაძლებლობა აქვთ აიღონ საბიუჯეტო სახსრები გარკვეული საფინანსო პრობლემების გაჩენის შემთხვევაში. დიდი რაოდებობით მცირა და საშუალო საწარმოების არსებობა ეკონომიკაში ხელს უწყობს ეროვნულ მეურნეობაში ძლიერი კონკურენციის განვითარებას. ასეთ პირობებში საქონლის მიმღებებს შესაძლებლობ აქვთ მრავალ მიმწოდებელს შორის შეარჩიონ მისთვის საჭირო პროდუქცია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეურნეობაში დიდი ორგანიზაციული კონცენტრაციის დროს კონკურენცას აღარ ექნება ადგილი. მცირე ღია ეკონომიკაში ასეთ კონკურენციას წარმოშობს თავისუფალი იმპორტი, რომლის

წყალობითან ადგილობრივ ბაზარზე წამოდგენილი არიან ან შეუძლიათ რომ იყვნენ, სხვადასხვა ქვეყნის ექსპორტიორები. ემპირიული კვლევები ნათელყოფს, რომ კაპიტალისტუ ქვეყნებში არაპროპორციულად ბევრ რადიკალურ სიახლეს ნერგავენ მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებსაც საწყის ეტაპზე საქმიანობს  არც თუ ისე დიდი მასშტაბები აქვთ. ახალი ინოვაციური საწარმოების წარმოშობა არის ორი ძირითადი ფაქტორის შედეგი. პირველი მათგანი ეფუძნება იმას, რომ ყოველ მეტნაკლებად განათლებულ საზოგაგოებაში არსებობს ჯგუფი ადამიანებისა, რომლებსაც სურვილი აქვთ ფული დააბანდონ საკმაოდ რისკიან ტექნიკურ წამოწყებაში. სწორედ ასეთ ადამიანები იქევიან ხოლმე საზგოადოების თავისებურ ინოვაციურ პოტენციალად. მეორე ფაქტორს წარმოადგენს კერძო საწარმოთა საქმიანობის თავისუფლება, რაც სრული სახით მხოლოდ კონკურენციულ კაპიტალიზმის პირობებში არსებობს.

ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე შეგვიძლია რამოდენიმე სახის დასკვნა ჩამოვაყალიბოთ. კერძოდ აუცილებელი ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური განვითარების დეფინიციების პოლიტიკის დონეზე შემოღება და მათი განმარტების მკაფიო განსაზღვრა, რათა მომვალში მოხდეს მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებების ზუსტი განსაზღვრა და გამიჯვნა იმის მიხედვით თუ რა მიზანსა და შედეგებს ემსახურებიან ისინი, რათა საშუალო და გრძელვადიან პერიოდში შესაძლებელი იყოს ეკონომიკური მიზნების მიხედვით შესაბამისი ნაბიჯების ზუსტი დაგეგმვა და განსაზღვრა. რადგან მეწარმეობა ჩვეულ არის წინასწარ გააზრებული საქმიანობა, ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელსაც მოაქვს ინდივიდის მატერიალური და სულიერი მოთვონილებების დაკმაყოფი ინდივიდების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის გარკვეული შემოსავალი. ის ამავდროულად საზოგადოებრივი სარგებლიანობის თვისების მატარებელიცაა, რადგანაც ყოველი ინდივიდის ინტერესების დაკმაყოფილება აუცილებლად ითვალისწინებს საერთო საზოგადოების ინტერესებსაც. ამ პროცესს თან ახლავს წინააღმდეგობები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც საზოგადოების

ეკონომიკურო პროგრესის, ეკონომიკური განვითარების საფუძველი. მცირე და საშუალო მეწარმეობა თავისი მოცულობით ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს სექტორს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნესსისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველწყაროა. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება პასუხობს მოქნილი შერეული ეკონომიკის ფორმირების ზოგადმსოფლიო ტენდენციებს, საკუთრები სხვადასხვა ფორმებისა და მათი ადეკვატური მეურნეობის მოდელების შეთანაწყობა, რომლებში რალიზდება კონკურენციული საბაზრო მექანიზმისა და მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების სახელმწიფო რეგულირების რთული სინთეზი. თანამედროვე, მსხვილი ეკონომიკური სისტემის მქონე სახელმწიფოთა გამოცდილება ნათლად ამტკიცებს მაღალგანვითარებული და ეფექტიანი მცირე სამეწარმეო სექტორის არსებობის აუცილებლობას. სწორედ მცირე მეწარმეობა წარმოადგენს იმ მძლავრ რგოლს, რომელიც იწვევს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ვთვლით, რომ ჩვენი ქვეყნის აღორძინების საფუძველი ეკონომიკის მოცემული სექტორის დაჩქარებული განვითარებაა.

ბალტიის ქვეყნების ანალიზის შედეგები ადასტურებენ, რომ მცირე ბიზნესის საწარმოები უფრო მდგრადია გარე ცვლილებებთან. კერძოდ, 90-იანი წლების დასაწყისში ეკონომიკის საერთო დაცემის პერიოდში ძირითადად მცირე ბიზნესი ქმნიდა ეკონომიკის ფორმირების შესაძლებლობებს, ამ სექტორიდან დაიწყო ახალ საბაზრო პირობებთან ადაპტაცია. პოსტკომუნისტური მოდელის საწარმოებმა ვერ გაუძლეს კონკურენციას, დაიწყო მათი ცალკეულ სეგმენტებად პრივატიზაცია. ასეთ პირობებში მცირე ბიზნესმა გამოავლინა თავისი მოქნილობა, სიცოცხლისუნარიანობა, ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარი, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი, პერსპექტიული მიმართულებით რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობა.

მცირე ბიზნესი მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. თანემედროვე პირობებში ინოვაციები მიჩნეულია

ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო დონეზე. თანამედროვე საბაზრო პროცესები ხასიათდება სეგმენტაციის მაღალი ხარისხით, რაც მცირე საწარმოთა ინოვაციურ აქტივობას განსაკუთრებით აქტიურს ხდის. მასიური ბაზრების ეპოქა უკან იხევს და დღეისათვის ბიზნესის ტენდენციათა განმსაზრვრელი ფაქტორები ხდება მომხმარებელთა მოთხოვნების მრავალფეროვნება და ცვალებადობა. მცირე სწარმოებს შეუძლიათ სწრაფად და მოქნილად რეაგირება მომხმარებელთა მოთხოვნაზე, ახდენენ წვრილსერიული, უნიკალური და სპეციფიკური როდუქციის მიწოდებას ცალკეულ საბაზრო სეგმენტებზე. მცირე ბიზნესს აქვს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური როლი, რაც ძირითადად გამოიხატება საზოგადოების საშუალო ფენის ფორმირების დაჩქარებაში, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვის ზრდაში; უნარიან მეწარმეთა წარმოჩენაში. მათთვის მცირე ბიზნესი ხდება თვითრეალიზაციის პირველი საფეხური; შედარებით დაბალი დანახარჯებით იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, უზრუნველიყოფა პროფესიათა შეთავსებადობა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მნიშვნელოვანი წარმატებებია ბიზნესის განვითარებასთან დაკავშირებით და ხელისუფლებაც ეტაპობრივად შეიმუშავებს მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის მექანიზმებს, მეწარმეები კვლავ სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მოლოდინში არიან. მეწარმეებისათვის დღესაც აქტუალურია ისეთი ხელისშემშლელი ფაქტორები, როგორიცაა: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, კრედიტის მაღალი საპროცენტო განაკვეთი, მაღალი საგადასახადო განაკვეთები. მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ასევე ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან ბაზრისა და საკუთრების უფლების დაუცველობა. მეწარმეები თვლიან, რომ მათი ბიზნესის წარმატებული განვითარებისათვის ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას. აქედან გამომდინარე ზოგადად ბიზნესისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის კეთილდღეობა, რომელზეც ჯაჭვურად არის მიბმული ბიზნესის გაფართოების შესაძლებლობები.

ქვეყნისა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვანწილად სამთავრობო პოლიტიკასა და საბაზრო ძალების შედეგს წარმოადგენს. ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა, განსაკუთრებით სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, აჩვენა, რომ კონკურენტუნარიანობა შეიძლება მიღწეულ იქნას შეზღუდული რეგულირების გზით, საინვესტიციო სტიმულებით, ვაჭრობის განვითარებით, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებით, საგანმანათლებლო ვალდებულებების აღებისა და ადამიანური რესურსების განითარებით. სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პოლიტიკის განვითარებამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს ბიზნესის განვითარებაზე.

სახელმწიფომ, პირველ რიგში, უნდა განახორციელოს აუცილებელი სტრუქტურული ადაპტაციები, შექმნას კლასტერები განვითარების პროგრამა და გამოიყენოს სტაბილიზაციის პოლიტიკა, რათა თავიდან აიცილოს ინფლაცია, მოახდინოს ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ეკონომიკის დარეგულირება. ამასთან ერთად აუცილებელია შეიქმნას საბაზრო ოპერაციათა გატარების უზრუნველმყოფი ინსტიტუტების მთელი ქსელი, რომელშიც მოიაზრება საფინანსო და იურიდიული ორგანიზაციები, განათლების სისტემა, ეფექტურად მოქმედი შრომის ბაზრები, კერძო საკუთრების ინსტიტუტი და სხვა.

რეგიონებში მცირე ბიზნესის სტიმულირებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ბიზნესიდან მიღებული გადასახადების ადგილობრივ ბიუჯეტებში გამოყენება. ასეთ შემთხვევაში თვით ადგილობრივი ხელისუფლება იქნებოდა დაინტერესებული ბიზნეს-სუბიექტების რიცხვის ზრდითა და მათი საქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიებების შემუშავებით, შესაბამისად კი ადგილობრივ ბიუჯეტებში შენატანების გაზრდით.

როგორც უკვე ნაშრომში მსჯელობისას აღვნიშნეთ საქართველომ უნდა იპოვოს ის ძირითადი პრობლემები, რაც მას აფერხებს იყოს მოწინავე ევროპული ქვეყანა და აღნიშნული პრობლემატკიდან გამომდინარე მოხდეს გადაწყვეტების ფორმულირება, რომელიც გადაიჭრება თანამედროვე ტექნოლოგიებით. ეს არის სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მთავარი პოსტულატი, რაც გრძელვადიან პერიოდში

წარმატების გარანტია. ასეთი მიდგომები ცალკეულ ბიზნეს სისტემებში ეკონომიკური, ინოვაციური მეთოდების გამოყენებასთან ერთად ხელს შეუწყობს მის მასშტაბურ გავრცელებას და ბიზნესკულტურის ამაღლებას ქვეყანაში, მის ცალკეულ რეგიონში.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. გ. ერქომაიშვილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, თბ. 2013

2. ჯ. ჰასიდი, ა. კომსელისი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მ. ნცვალაძე, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, თბ. 2009, ნაწილი I-II

3. ჯ. ჰასიდი, ა. კომსელისი, ი. ფაფალიოუ, მარია პსილაკი, რ. გველესიანი, ე. მექვაბიშვილი, ი. გაგნიძე, ე. ლეკაშვილი, მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, თბ. 2011, ნაწილი III

4. ვ. პაპავა, არატრადიციული ეკონომიქსი, თბ. 2011

5. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბილისი 2008

6. ლ. ბალცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება, თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია, თბ. 2004

7. რ. გველესიანი, მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბ. 1999

8. გ. ფალტინი, გონება ამარცხებს კაპიტალს, თბილისი 2014

9. სამადაშვილი უ. ბიზნესის საფუძვლები. თბილისი 2002.

10. სამადაშვილი უ. „ბიზნესის საფუძვლების საგნისა და მეთოდის საკითხისთვის“; ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“. 2007

11. არჩვაძე ი., საქართველოს მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი, ჟ. სოციალური ეკონომიკა, 20010, #1

12. ერქომაიშვილი გ., ფირმის ეკონომიკა, თბ. 2005

13. დათაშვილი ზ., ნაციონალიზნმი და გლობალიზაცია, თბ.2003

14. რ. ოთინაშვილი, საქართველოს ეკონომიკა, თბილისი 2010

15. ლ. ბალცეროვიჩი, სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბილისი 2002

16. ვ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის, პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი 2002

17. ვ. პაპავა, პოსკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბილისი 2005

18. И. Шумпетер, Теория экономического развития, Москва 2008

19. Шишин С., Малое предприниматеоьство: сущность место и роль. М.2002ю -456с;

20. Гребеник В.,Основы бизнесса ; Учебное пособие, Мю2005.-172с

21. Whitney Stewart, “Former Communist Estonia, Georgia Leading in Economic Success,” Cybercast News Service, 10 August 2007, 12 November 2007

22. “Estonia,” CIA World Factbook, 01 November 2007, 12 November 2007

23. Mart Laar, “The Estonian Economic Miracle,” Backgrounder, 7 August 2007, 12 November 2007

24. David Storobin, “Estonian Economic Miracle: A Model for Developing Countries,” Global Politician, 1 May 2004, 12 November 2007

25. “Estonia,” 2007 Index of Economic Freedom, 12 November 2007

26. Niclas Berggren, "The Benefits of Economic Freedom: A Survey," The Independent Review, Fall 2003, 12 November 2007

27. Robert Carbaugh, International Economics, Eleventh Edition, (Ohio: Thomson South-Western, 2007)

28. James D. Gwartney and Robert Lawson, "There's Power in Economic Liberty," The Cato Institute, 9 September 2005, 12 November 2007

29. "Small but Free: Estonia's Economic Reforms," Adam Smith Institute, 12 November 2007

30. "The Constitution of Estonia," Chapter 1, Article 32, Section 1 and 2

31. Milton Friedman, "On Freedom and Free Markets," Public Broadcasting Station

32. Ludwig Von Mises, Economic Policy: Thoughts for Today and Tomorrow, (New York: Free Market Books, 2000).

33. Daniel Mitchell, "Flat Tax is the Way of the Future," The Heritage Foundation, 20 March 2006, 12 November 2007

34. Daniel Mitchell, "Baltic Beacon," The Cato Institute, 20 June 2007, 12 November 2007

35. Signe Ratso, "Miracle of Estonia: Entrepreneurship and Competitiveness Policy in Estonia," United Nations Economic Commission for Europe, 12 November 2007

36. Razeen Sally, "Free Trade in Practice: Estonia in the 1990s," Central Europe Review, 10 July 2000, 12 November 2007

37. Ludwig von Mises, Economic Policy: Thoughts for Today and Tomorrow, Originally published 1979 by Regnery/Gateway, Inc., Chicago

38. Razeen Sally, “Free Trade in Practice: Estonia in the 1990s,” Central Europe Review, 10 July 2000, 12 November 2007

39. Andrew B. and others 1999

40. Blanchard 1996

41. Anders Aslund, Building Capitalism: The Transformation of the Former Soviet Bloc (New York: Cambridge University Press, 2002)

42. United Nations Economic Commision for Europe, Economic Survey of Europe, no. 1: 225 (New York: United Nations, 2000)

43. Ardo Hansson, “The Trouble with the Rouble: Monetary Reform in the Former Soviet Union”, in Changing the Economic System in Russia, ed. Anders Aslund and Richard Layard (New York: St. Martin’s Press, 1993, 163-82)

44. Ardo Hansson, “Macroeconomic Stabilization in Baltic States”, in Macroeconomic Stabilization in Transition Countries, ed. Mario I. Blejer and Marko Skreb (New York: Cambridge University Press, 1997, 256-80)

45. Roman Frydman, Andrzej Rapaczynski, John S. Earle, et al., The Privatization Process in Russia, Ukraine, and Baltic States (Budapest: Central European University Press, 1993)

46. Anatol Lieven, The Baltic Revolution: Estonia, Latvia, Lithuania, and the Path of independence (New Haven, CT: Yale University Press, 1993).